მაცნე სამტრედიის

გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ gmail.com

N9 (9296) 30 მარტი. 2019 წელი ფასი 50 თეთრი

ინფრასტრუქტურული პროექტები აქტიურ ფაზაშია

2

ტრადიციული თათბირი ტრადიციულად საქმიანად წარიმართა

3

ბრძოლა ფაროსანას წინააღმდეგ კვლავ განახლდა

4

NATO 70 წლისაა

3

სამტრედიის 6 ობიექტი შევა უცხოენოვან წიგნში, რომელიც იმერეთის სავიზიტო ბარათი გახდება

9 აპრილი ჩვენი ტკივილია!

9



7

ახლა რეალურად ჰაერში ვართ, უცებ შეცვალეს ყველაფერი

6

მოვლენ ის მოსწავლეები, რომლებიც სწავლისთვის არიან მოწდომებულნი

5

იუბილარი მედიის ეროვნული ღამაზი დღე

ლევან გაბეჩავა

ტრადიციული თათბირი ტრადიციულად საქმიანად წარიმართა

მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი ვალერიანე ფოცხვერია უძღვებოდა 25 მარტს გამართულ ორშაბათის თათბირს.

მისალმების შემდეგ ბატონმა ვალერიანე ფოცხვერიამ შეკრებილთა ყურადღება გაზაფხულის მოსვლასთან ერთად, აზიური ფაროსანას შესაძლო გააქტიურებასა და მის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ბრძოლის შეუქცევად ღონისძიებებზე გაამახვილა. მისი წინადადებით, შეკრებილთ დარგის სპეციალისტი ბატონი მიხეილ სხვიტარიძე ვრცლად ესაუბრა. მან აღნიშნა, რომ როგორც მოსახლეობამ, ასევე, მერის წარმომადგენლებმა სოფლებში, დაბასა თუ ქალაქში, საზოგადოების ყველა ფენამ უნდა იბრძოლოს ამ ვერაგი მწერის წინააღმდეგ. ბატონმა მიხეილ სხვიტარიძემ ისიც აღნიშნა, რომ თებერვლიდან უნდა დაწყებულიყო თხილის პლანტაციების შეწამვლითი სამუშაოები და მაგალითიც დაასახელა თუ როგორი მაღალი მოსავალი მიიღო იმ ფერმერმა, რომელმაც აგრო-ტექნიკურ ვადებში ჩაატარა თხილის შეწამვლითი სამუშაოები.

აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მოსახლეობის ჩართულობის კუთხით მედიის როლზე გაამახვილა ყურადღება ვალერი ფოცხვერიამ.

სამოყვარულო ფეხბურთში საზოგადოების ფართო მონაწილეობას და თავისთავად, ფეხბურთის პოპულარიზაციას შეეხებოდა მუნიციპალიტეტის მერის მიერ თათბირის მონაწილეებისადმი შეთავაზებული საკითხი.

სოფლის პროგრამები, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების საზრუნავთა საზრუნავია. როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, აქ პრიორიტეტულ საკითხებს თავად მოსახლეობა წყვეტს.

მუნიციპალიტეტის მერმა, მისმა მოადგილემ, ბატონმა დავით ბახტაძემ კონკრეტულ საკითხებზე ისაუბრეს, რომლებიც სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში უნდა განხორციელდეს და მერიის შესაბამისი სამსახურებისა და ქალაქში, დაბასა და სოფლებში მერის წარმომადგენლებს შესაბამისი დავალებები მისცეს.

ტრადიციულად საქმიან ვითარებაში წარიმართა ორშაბათის ტრადიციული თათბირი.

ბრძოლა ფაროსანას წინააღმდეგ კვლავ განახლდა

თეა ბაბუნაშვილი

გაზაფხული ყველაფერთან ერთად იმ აზიურ მავნებელსაც გააღვიძებს, ბოლო წლებში აუნაზღაურებელ ზიანს რომ აყენებს სოფლის მეურნეობის კულტურებს და ქვეყნის ეკონომიკასაც საკუთარ კვალს ატყობს. ფაროსანას წინააღმდეგ მებრძოლი შტაბები და სხვა სამსახურები კვლავ გააქტიურდნენ მავნებლის წინააღმდეგ საბრძოლველად. და რადგან დროულად და სწორად დაწყებული შესაბამისი სამუშაოები შედეგის მომტანია, უკვე იქმნება მობილური ჯგუფები სხვადასხვა მუნიციპალიტეტის მასშტაბით. ხონის მუნიციპალიტეტიდან სამტრედიაში ჩამოვიდა სურსათის უვნებლობის სამსახურის მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც იმერეთში შავლეგო ნონიაძე უხელმძღვანელებს.

მუნიციპალიტეტის მერთან შეხვედრისას, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად კიდევ ერთხელ მოკლედ ისაუბრეს თუ რა აუცილებელი ღონისძიებები უნდა ჩატარდეს დადებითი შედეგის მისაღებად. მოსახლეობის ინფორმირება ისევე როგორც გასულ წლებში, წელსაც პირველი რიგის ამოცანაა. მავნებელთან ბრძოლის პირველი ეტაპი კი ფერომონების დადგმას გულისხმობს, რაც გასული წლის გამოცდილებით ზედმიწევნით შედეგიანი აღმოჩნდა.

შეხვედრაზე აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების ირგვლივ რომ საუბრობდნენ, ხაზგასმით აღინიშნა, რომ წელს მნიშვნელოვნად შემცირებული იქნება თერმული ნისლით შეწამვლა. რაც შეეხება ზემოდან შეწამვლას, შესაბამისი ტექნიკა ჯერ ისევ არ აქვთ. გარდა ამისა, შეწამვლის დაწყების დროიდან წინასწარ უნდა მოინიშნოს ფუტკრის განთავსების, შესაწამლი დანადგარებისთვის წყლის აღების ლოკაციები. დადგინდეს დასათესი სიმინდის სწორი პარამეტრები, აგრეთვე ფართობებში წინასწარ უნდა დარჩეს სპეციალური ''ბილიკები'' შესაწამლი ტექნიკის გადასაადგილებლად. წინასწარ უნდა განისაზღვროს მიტოვებული სახლების რაოდენობა. სოფლებში უნდა შეიქმნას აქტივისტთა ჯგუფები, რომლებიც დახმარებას გაუწევენ მონიტორინგის ჯგუფს.

მუნიციპალიტეტის მერმა ვალერი ფოცხვერიამ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში შარშანდელთან შედარებით წელს გაცილებით უკეთეს მდგომარეობას ვარაუდობენ, რადგან გასულ წელს საჭირო ღონისძიებები საფუძვლიანად ჩატარდა. მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელმა შავლეგო ნონიაძემ კი ხაზი გაუსვა, რომ მარტო ვერაფერს გახდებიან, თუ მოსახლეობა მათ რჩევებსა და მოთხოვნებს არ მიჰყვა. ისევე როგორც გასულ წელს, წელსაც აზიური მავნებლის წინააღმდეგ მებრძოლ შტაბს სამტრედიაში ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი, ნოე ივანიაძე უხელმძღვანელებს.

გივი კაპანაძის სახელობის ქუჩაზე ტრაფარეტები გამოიკრა

ნათია ნაცვლიშვილი

ამ დღეებში, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ქუჩაზე ახალი ტრაფარეტები გაიკრა. წლების წინ, სამტრედიის მერიის გადაწყვეტილებით, ყოფილი კამოს ქუჩის ერთ-ერთ ჩიხს, ამავე ქუჩაზე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული პოლიციელის, გივი კაპანაძის სახელი მიენიჭა. სამწუხაროდ, აქ შესაბამისი ტრაფარეტები აქამდე არ ყოფილა განთავსებული.

1994 წლის დასაწყისში, სამტრედიის რაიონში მძიმე კრიმინოგენური ვითარება შეიქმნა. ბოროტმოქმედთა განუკითხავი თარეშის გამო პოლიციას დღედაღამ არ ეძინა, საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო ქონების დაცვა თავგანწირულ მუშაობას მოითხოვდა. გივი კაპანაძე მიმაგრებული იყო სამტრედიის პურის მიმღებ საწარმოზე, ერთ-ერთი მორიგეობის ღამე მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. 19 თებერვალს, საღამოს, სახლში საკუთარი ავტომანქანით სავახშმოდ მივიდა, რომელიც გაფუჭებოდა, ივახშმა და ველოსიპედით კვლავ საგუშაგოსკენ გაეშურა. დანიშნულ ადგილამდე 200 მეტრიღა რჩებოდა გასავალი, რომ წერეთლის ქუჩის დასაწყისიდან ჟიგულის მარკის ავტომანქანა წამოეწია, მანქანაში მსხდომებმა ავტომანქანა შეაჩერეს და პოლიციელს უბრძანეს, კუთვნილი ავტომატური იარაღი მათთვის მიეცა. _ ბიჭებო, ჯობია, თქვენს გზაზე წახვიდეთო, მის ამ მშვიდ სიტყვებს გასროლა მოჰყვა. ერთი დაჭრილი, პოლიციელი ხუთ შეიარაღებულ ბოროტმოქმედს ებრძოდა, მძიმედ დაჭრილი ის საავადმყოფოში გარდაიცვალა. სამტრედიის შს რაიგანყოფილების ადმინისტრაციული პოლიციის უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი როლანდ ღირდალაძე აღნიშნავდა: ''შინაგან საქმეთა ორგანოებში ხანგრძლივი მუშაობის მანძილზე, მან მრავალგზის გამოავლინა პოლიციელის საუკეთესო თვისებები: უღალატო სამსახური, ერთგულება, საიდუმლოების სრული დაცვა მისი ხასიათ-

ის სავიზიტო ბარათი გახლდათ. რამდენიმე კაცის შემართება და ენერგია ჰქონდა, მის სახეზე დაღლილობა და გულგატეხილობა არასოდეს იხატებოდა. მუდამ მზად იყო, დახმარებოდა სხვებს, თვითონ კი თავდაუზოგავი იყო.''

რედაქციაში გვეწვია დაღუპული პოლიციელის შვილი, ნიკოლოზ კაპანაძე: ''მამაჩემი, გივი კაპანაძე მუშაობდა სამტრედიის შსს რაიონულ განყოფილებაში, იყო პოლიციის ზემდეგი, 1994 წლის 20 თებერვალს დაიღუპა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ყაჩაღებთან შეტაკებაში. მაშინ მე მეოთხე, ჩემი და კი მეექვსე კლასში ვსწავლობდით. მეამაყება, რომ მამაჩემი ღირსეული ადამიანი იყო, მთელ სამტრედიაში ვისაც არ უნდა ჰკითხოთ, მასზე აუგს ვერავინ გეტყვით. სულ ვიძახი, მეამაყება მისი შვილობა. ვცდილობ, ისე ღირსეულად ვიცხოვრო, მისი სახელი და ხსოვნა არ შევარცხვინო! ასევე ვუნერგავ ჩემს სამივე შვილს მამაჩემის სიყვარულს, ხშირად ვუყვები მასზე და ვცდილობ, ჩვენს ოჯახში დავიწყებას არ მიეცეს მისი სახელი. 1994 წელს სექტემბერში მამა საქართველოს პრეზიდენტის მიერ ''მხედრული მამაცობისთვის'' სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვებული იქნა მედლით. 1996 წელს ქალაქის მერიის გადაწყვეტილებით, სამტრედიის რაიონის იმ ქუჩას, სადაც ეს ტრაგედია დატრიალდა, მამაჩემის სახელი მიენიჭა, რაოდენ არ უნდა გაგიკვირდეთ, ამდენი ხნის განმავლობაში არ მომხდარა ქუჩაზე შესაბამისი აბრების განთავსება, ბევრი ამ ქუჩას კვლავ კამოს ან ნინუას პირველ ჩიხად მიიჩნევდა. ამ საკითხისადმი ინტერესი არასოდეს გაგვნელებია, მაგრამ სამწუხაროდ, შედეგს ვერ მივაღწიეთ. ამჯერად კი საკრებულოს წევრის, ფრაქცია ''ქართული ოცნების'' თავმჯდომარის, ტარიელ დვალიშვილის ხელშეწყობით მოვაგვარეთ პრობლემა. ბატონმა ტარიელმა გულთან მიიტანა ჩვენი სატკივარი, საკუთარი ხარჯით დაამზადებინა შესაბამისი აბრები და ქუჩის მცხოვრებთ უკვე ახალი აბრები აქვთ. უდიდეს მადლობას მოვახსენებ ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ წლების განმავლობაში მამაჩემის პატივისცემით ჩვენს ოჯახს მორალურად თუ მატერიალურად გვერდით ედგა. ვიდრე სტუდენტები გავხდებოდით, ობლებზე ზრუნვა პოლიციის თანამშრომლებს არ შეუწყვეტიათ. ასევე უდიდესი მადლობა მინდა ვუთხრა ბატონებს ტარიელ დვალიშვილსა და ბეჟან გოგიას, ასევე თქვენს გაზეთს, მამაჩემის ხსოვნა რომ უკვდავყავით.''

აირჩიეს ახალი თავმჯდომარე

გაიმართა ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა სამტრედიის რაიონული კავშირის კრება, კრებას ესწრებოდა 65-ზე მეტი ვეტერანი.

კრების მონაწილეებმა მადლობა გადაუხადეს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა რაიონული კავშირის ყოფილ თავმჯდომარეს, ბატონ რევაზ კანდელაკს და მის მოადგილეს, ბატონ ალექსანდრე ბანძავას ნაყოფიერი მუშაობისათვის.

ვეტერანთა რაიონული კავშირის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა თადარიგის პოლკოვნიკი, აპოლონ ხაჟალია, თავმჯდომარის მოადგილედ თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი, ავთანდილ კაშია.

კრებას ესწრებოდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ, თადარიგის გენერალ-მაიორმა თენგიზ ოშხორელმა.

ლევან გაბეჩავა

ინფრასტრუქტურული პროექტები აქტიურ ფაზაშია

ნათია ნაცვლიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის პროცესს აკვირდება. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურიასთან და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან, ზურაბ გოგიასთან ერთად შემოვლა ლაშა თევზაძის ქუჩაზე მდებარე ძველი სტადიონით დაიწყეს, სადაც თანამედროვე სტანდარტების ჩოგბურთის კორტები მოეწყობა. აქ სამუშაოებს შპს "ჯორჯიან კომპანი" ასრულებს, "სამტრედიის მაცნე" კომპანიის ხელმძღვანელს, ვალერიან კაკურიას გაესაუბრა:

_ "გავიმარჯვეთ ტენდერში და დავიწყეთ ეკალ-ბარდებისაგან არამარტო ამ, არამედ, მიმდებარე ტერიტორიის გაწმენდა, შემოიზიდა ბალასტი, დაპროფილდა, დემონტაჟი ჩაუტარდა მინი ფეხბურთის მოედნის კარს, გასუფთავდა ქუჩის მხრიდან მიმდებარე ტერიტორია, გატანილია ნარჩენები, ხელშეკრულების თანახმად 60 დღიანი ვადა გვაქვს სამუშაოების დასრულებამდე, სრულდება 57 000 ლარის სამუშაო. ჩოგბურთის ორი კორტი შევა ექსპლუატაციაში."

ვალერიანე ფოცხვერია: "გრძელდება ინფრასტრუქტურული პროექტები, სახურავების გადახურვა ადგილობრივი ბიუჯეტით, ხოლო ბაღების რეაბილიტაცია რეგიონალური განვითარების ფონდის პროგრამით მიმდინარეობს. ბაღები ყოველთვის პრიორიტეტია ჩვენთვის, ხელისუფლებაში მიმოსვლის დღიდან. გარკვეული თანხები, რაც კი შეიძლება მუნიციპალიტეტში მობილიზდეს, მიმართულია ბაღებისაკენ. გადახურვის სამუშაოებს ასრულებს ადგილობრივი კომპანია შპს "გუდა 1979" (გურამ თავაძე). ბაღებში კი კომპანია "ჯორჯიან კომპანი" .

მეორე ობიექტი, რომელიც მოინახულეს და მიმდინარე სამუშაოები შეამოწმეს, რუსთაველის 27-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსი იყო. აქ კორპუსის გადახურვა პროექტ "ამხანაგობის" ფარგლებში მოხდა, სადაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხის 95 პროცენტი, ხოლო მოსახლეობის 5 პროცენტი იქნა მიმართული.

დავით ჯანელიძე, სამუშაოთა მწარმოებელი: "სამუშაოებს ვასრულებთ, 27 მარტს გადის ხელშეკრულების ვადა. დროში ჩავეტევით, ხარისხიანად ვაკეთებთ საქმეს, უდიდესი პასუხისმგებლობით. ამ ტენდერში ოთხი ობიექტი გვქონდა, ყველა მათგანი თითქმის დასრულებულია."

მომდევნო ობიექტი, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერი ესტუმრა, მეთერთმეტე ბაგა-ბაღია, სადაც, უახლოეს დღეებში დაიწყება სარეაბილიტაციო სამუშაოები, გარემონტდება როგორც ჯგუფები, ისე, საძინებლები, შეიცვლება იატაკი, კარ-ფანჯარა, ერთი სიტყვით, იმ პატარებს, რომლებიც მერმა თავად მოინახულა, კომფორტულ გარემოში შეეძლებათ ყოფნა.

სამტრედიის 6 ობიექტი შევა უცხოენოვან წიგნში, რომელიც იმერეთის სავიზიტო ბარათი გახდება

თსუ-ს ასისტენტ-პროფესორმა, გეოგრაფიის დოქტორმა, გიორგი დვალაშვილმა და სამტრედიელმა მაგისტრანტმა, გეოგრაფიის პედაგოგმა, მედეა გოგიშვილმა უკვე დაასრულეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გეოგრაფიული კვლევა. როგორც ჩვენი გაზეთით უკვე გაუწყეთ, მეცნიერთა ჯგუფი გამოსაცემად ამზადებს წიგნს სამტრედიის მუნიციპალიტეტის შესახებ. მის გამოცემას ადგილობრივი წარმოშობის ბიზნესმენი აფინანსებს. წიგნზე მუშაობის პროცესში კომენტარი ვთხოვეთ პროფესორ გიორგი დვალაშვილს, რომელიც, უაღრესად დატვირთული გრაფიკის მიუხედავად მაინც პოულობს დროს, მედიას უახლესი ინფორმაცია მიაწოდოს. გიორგი დვალაშვილი: "საველე ექსპედიცია ჩატარდა როგორც ქალაქ სამტრედიაში, აგრეთვე, მუნიციპალიტეტის 47 სოფელსა და 1 დაბაში. ამჟამად მიმდინარეობს საველე კვლევისას მოპოვებული მასალების კამერალური დამუშავება, რომელიც აპრილის დასაწყისში დასრულდება. შემდეგ ეტაპზე დაგეგმილია ქალაქ სამტრედიაში შეხვედრა მერიის წარმომადგენლებთან და წიგნში შესატანი მასალის ადგილობრივ წარმომადგენლებთან დაზუსტება. მიღებული შენიშვნებისა და შესწორებების გათვალისწინების შემდეგ, მოხდება წიგნის დაკაბადონება და მაისის დასაწყისისათვის ვგეგმავთ წიგნის გამოცემას. თავდაპირველად წიგნის წარდგინება მოხდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო, მაისის მეორე ნახევარში დავგეგმავთ წიგნის წარდგენას ქალაქ სამტრედიაში. წიგნზე მუშაობის დროს, სამტრედიის მუნიციპალიტეტში რამდენიმე უცნობი გეოგრაფიული თუ ისტორიულ-არქიტექტურული ობიექტი იქნა შესწავლილი. მიუხედავად იმისა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის შესახებ საინტერესო მასალები 2015 წელსაც შევაგროვეთ და მოთავსდა თსუ-ს მიერ გამოცემულ ერთ-ერთ ჩვენს წიგნში "მდინარე რიონის აუზი", ისევ მოხდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელახლა აღმოჩენა. წიგნის აღმოჩენის შემდეგ ვგეგმავთ რამდენიმე საცნობარო კომპანიას სახელწოდებით "აღმოაჩინე სამტრედია", რომელსაც წესით უნდა მოყვეს საჭირო შედეგი. საცნობარო კომპანია გაგრძელდება, აგრეთვე დევიზით "სამტრედია ტურისტის არჩევანი". სამტრედიის მასალების დამუშავების შემდეგ, აგრეთვე განისაზღვრება ის 6 ობიექტი, რომელიც შევა შემდეგ წიგნში "იმერეთის 100 ძეგლი", რომელიც შემოდგომაზე სამ ენაზე (ქართული, ინგლისური და რუსული) გამოიცემა და იმერეთის სავიზიტო ბარათი გახდება როგორც საქართველოში, ასევე, საზღვარგარეთ.

ნათია ნაცვლიშვილი

შევაჩეროთ ტუბერკულოზი!

24 მარტი ტუბერკულოზთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა. აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სამტრედიის ფილიალის მოხალისეებმა "მომავლის პარკში" აქცია ჩაატარეს. ხუთთა კომიტეტის წევრებმა გამვლელებს გადასცეს ტუბერკულოზის პრევენციისა და მკურნალობის მეთოდების ამსახველი საინფორმაციო ბუკლეტები, მოხალისეების მიერ დამზადებული გვირილის ფორმის ბარათები წარწერით: "ტუბერკულოზი განკურნებადია". ასევე გამოფენის მოხალისეების მიერ დახატული გვირილა წარწერით: "შევაჩეროთ ტუბერკულოზი!" ამ დღის აღნიშვნის მიზანია, ტუბერკულოზთან ბრძოლის კუთხით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. დაავადების დროული გამოვლენისა და ექიმის მიერ დანიშნული მკურნალობის რეჟიმის ზუსტად შესრულების შემთხვევაში შესაძლებელია ტუბერკულოზის განკურნება. ტუბერკულოზთან ბრძოლაში უდიდესი როლი ენიჭება ადამიანთა თანადგომას, მხარდაჭერას პაციენტისადმი. ერთიანი ძალისხმევით ჩვენ შევძლებთ დავამარცხოთ ტუბერკულოზი.

ნათია კაკაბაძე
საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სამტრედიის ფილიალის აღმასრულებელი მდივანი

საქართველოს წითელი ჯვრის სამტრედიის ფილიალის (მენეჯერი ნათია პაპავა) თანამშრომლები მადლობას ვუხდით ბატონ მამუკა თოდრიას იმისთვის, რომ ჩვენს ორგანიზაციას საჩუქრად გადასცა საოფისე ინვენტარი. წარმატებებს ვუსურვებთ მას.

NATO 70 წლისაა

ლევან ბაბეჩავა

NATO ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაა – სამხედრო ბლოკი. იგი 1949 წლის 4 აპრილს ვაშინგტონში დაფუძნდა. ორგანიზაციის შტაბ-ბინა ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში მდებარეობს. დამფუძნებლებად ითვლებიან: ამერიკა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, კანადა, იტალია, პორტუგალია, ნორვეგია, დანია, ისლანდია.

1952 წელს ალიანსში საბერძნეთი და თურქეთი მიიღეს, 1955 წელს კი მათ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა შეუერთდა.

1982 წელს ალიანსში გაერთიანდა ესპანეთი.

1991 წლიდან, როცა დაიშალა საბჭოთა კავშირი, NATO-მ ახალი ფუნქცია შეიძინა: ლოკალური კონფლიქტების, ტერორისტული ჯგუფების განეიტრალება და წერტილოვანი დარტყმების განხორციელება.

1999 წელს NATO-ს წევრები გახდნენ: ჩეხეთი, პოლონეთი და უნგრეთი, 2004 წელს კი ესტონეთი, ლიტვა, ლატვია, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ბულგარეთი.

მიუხედავად რუსეთის დიდი წინააღმდეგობისა, NATO აგრძელებს გაფართოების პროგრამას.

დღეს ხმამაღლა საუბრობენ, რომ NATO-ში საქართველოს გაწევრიანებას ალტერნატივა არ გააჩნია, რომ საქართველო მალე გახდება სრულუფლებიანი წევრი ალიანსისა. ამაზე მეტყველებს NATO-ს მაღალჩინოსნების ვიზიტი საქართველოში და ის წვრთნები, NATO-ს ეგიდით საქართველოში რომ ჩატარდა. როგორც ცნობილია, NATO-ს გენერალური მდივანი სტუმრობდა ამ დღეებში საქართველოს, რომელიც პრეზიდენტს, პრემიერსა და პარლამენტის თავმჯდომარეს შეხვდა.

4 აპრილს 70 წელი სრულდება ალიანსის შექმნიდან.

ძალა ევროპაშია

ევროკავშირის ქვეყნების მიერ საქართველო აღიარებულია როგორც უსაფრთხო ქვეყანა, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში მოქალაქეები არ იდევნებიან პოლიტიკური, რელიგიური, ეთნიკური და სხვა ნიშნით.

არის შემთხვევები, როცა გარკვეული ჯგუფები მოტყუებით, თანხის სანაცვლოდ, სთავაზობენ მოქალაქეებს ევროპაში თავშესაფრის მიღებაში დახმარებას, დასაქმებას, რის გამოც ასობით მოქალაქე დაზარალდა.

ევროკავშირის ქვეყნებში გამგზავრებასთან დაკავშირებით, აგრეთვე, სხვა საინტერესო საკითხებზე საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, მოსახლეობასთან შეხვედრა გაიმართა ეროსი მანჯგალაძის სახელობის სამტრედიის კულტურის ცენტრში.

შეკრებილთ ექსპერტები და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ესაუბრნენ ევროკავშირის ქვეყნებში უვიზო რეჟიმის წესებსა და იმ რისკებზე, რაც დაკავშირებულია, როგორც ამ წესების დარღვევასთან, ასევე, ევროკავშირის ქვეყნებში თავშესაფრის მიღების პროცედურების არამართლზომიერად გამოყენებასთან.

საინფორმაციო კამპანია, რომლითაც საზოგადოება თანდათან ინტერესდება, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით ხორციელდება.

ლევან ბაბეჩავა

ქართველობას არ გვართმევენ!

ნატოსა და ევროკავშირის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებლად კიდევ ერთი საინფორმაციო შეხვედრა ამჯერად იანეთში გამართა ამ ცენტრის იმერეთის ბიურომ, კერძოდ, მისმა წარმომადგენელმა მარიკა ვაჭარაძემ. შეხვედრა დაინტერესებული მოსახლეობის ასოცირების ხელშეკრულების ძირითად ნიუანსებში გასარკვევად გაიმართა. იგი რამდენიმე თემას, განსაკუთრებით რომ აღელვებს საზოგადოებას, ვრცლად შეეხო. და უპირველესია ის, რომ, როგორც მარიკა ვაჭარაძემ აღნიშნა: ''ასოცირების ხელშეკრულების დიდტანიან დოკუმენტში არსად სწერია, რომ ქართველმა ერმა ნატოსა და ევროკავშირში გაერთიანების სანაცვლოდ საკუთარი იდენტურობა, ტრადიციები და რელიგიური აღმსარებლობა უნდა დასთმოს. ერთი სიტყვით, ქართველობას არ გვართმევენ!'' გარდა ამისა, შესაცვლელია მიდგომა განათლებისა და მეტწილად უმაღლესი და პროფესიული განათლების კუთხით. ''საქართველოში დატვირთვა მოდის იმ ფაკულტეტებზე, ე.წ. პრესტიჟულად რომ თვლის საზოგადოება. საინჟინრო, სოფლის მეურნეობის, ვეტერინარიის და სხვა მსგავსმა პროფესიებმა უკანა პლანზე გადაინაცვლა და მათზე მოთხოვნა აღარაა. უცხოელმა ინვესტორმა, საქართველოში რომ ვერ მოიძია სპეციალისტი, იგი სხვა ქვეყნიდან, მაგალითად, ჩინეთიდან ჩამოიყვანა და მერე ვწუხვართ, ჩვენებურს არ ასაქმებენ და ჩინელებით აავსეს ქვეყანაო. ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენ სპეციალისტები არ გვყავს. ამჯერად ქვეყანაში მიდის მუშაობა იმაზე, რომ პროფესიული განათლების მიღება პრიორიტეტი გახდეს და პროფესიულ განათლებამიღებულს შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების უფლება ჰქონდეს, რაც აქამდე არ იყო ხელმისაწვდომი.'' – ხაზი გაუსვა მომხსენებელმა. გარდა ამისა, მან საქართველოს საზღვრებს გარეთ ქართველების მიერ ჩადენილ დანაშაულებებზე ისაუბრა და დანაშაულებრივი სტატისტიკაც დაასახელა. გარდა ამისა, კიდევ ერთხელ გაარკვია მოსახლეობა უვიზო მიმოსვლის წესების დაცვის აუცილებლობასა და საჭიროებებში.

შეხვედრები ნატოსა და ევროკავშირის ირგვლივ, დაინტერესებული პირებისთვის კვლავ გაგრძელდება.

ია ბაბუნაშვილი

ადრეული გამოვლენა განკურნების მაღალ მაჩვენებელს განაპირობებს

ამერიკული ორგანიზაცია ''მშვიდობის კორპუსის'' მხარდაჭერით ორგანიზაცია ''ჰერამ'' საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურთან ერთად 26 მარტს სამტრედიაში საგანმანათლებლო სესია ჩაატარა. ეს უკანასკნელი ჯანდაცვის მუშაკებისთვის და ფართო საზოგადოებისთვის, სარძევე ჯირკვლის კიბოს პრევენციისა და სკრინინგის როლის შესახებ განახლებული ინფორმაციის მიწოდებას ემსახურება. ორგანიზაციის ძირითადი მიმართულება სარძევე ჯირკვლის კიბოს სკრინინგია.

შეხვედრაზე ითქვა, რომ სამტრედიას ''ჰერა'' ეწვევა მობილური მამოგრაფით და ჩაატარებს სკრინინგს მოსახლეობისთვის.

შეხვედრას ესწრებოდა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის იმერეთის ზონალური სამსახურის ხელმძღვანელი, გოჩა გიორგაძე, რომელმაც ისაუბრა კიბოს სკრინინგ პროგრამის საკითხთან დაკავშირებით. ასევე აღნიშნა, თუ რა დიდი ვალდებულება აქვთ ადგილობრივ საზოგადოებრივ ჯანდაცვის ცენტრს და სოფლის ამბულატორიის ექიმებს აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში. შეხვედრას ესწრებოდა ''ევექსის'' წარმომადგენელიც.

მარინა თევზაძე, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის დირექტორი: ''მე, როგორც ადგილობრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელს, მინდა მივაწოდო ინფორმაცია სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას იმ ასაკობრივი ჯგუფების შესახებ, ვისაც შეუძლია ჩაიტაროს უფასოდ სკრინინგული კვლევები. მათ შორის არიან:

ძუძუს კიბოს სკრინინგი 40-70 წლის ჩათვლით ქალები;

საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი 25-60 წლის ჩათვლით ქალები;

მსხვილი ნაწლავის კიბოს მართვა 50-70 ორივე სქესისთვის;

პროსტატის კიბოს მართვა 50-70 მამაკაცები.

მუშაობა მიდის იმ მიმართულებით, რომ აღნიშნული სერვისი კიდევ უფრო გაამრავალფეროვნონ, კერძოდ სკრინინგით გამოვლენილი პაციენტებისთვის ექიმის კონსულტაცია ადგილზე იყოს მაქსიმალურად ხელმისაწვდომი''.

მინდა, ასევე მოსახლეობას მივაწოდო მნიშვნელოვანი ინფორმაცია: სამტრედიის მუნიციპალიტეტში მიმდინარე წლის 3 და 4 აპრილს დაგეგმილია სარძევე ჯირკვლის კიბოს სკრინინგული კვლევა. მამოგრაფი განთავსდება შემდეგ მისამართზე: სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6, სამტრედიის საკრებულოს შენობასთან.

გთხოვთ მობრძანდეთ, ჩაიტაროთ გამოკვლევა, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. შესაბამისად, ადრეული გამოვლენა განკურნების მაღალ მაჩვენებელს განაპირობებს.

ნინო ნანიტაშვილი

იუბილარი მედიის ეროვნული ღამაზი დღე

ნათია ნაცვლიშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტში მოქმედი მედია-საშუალებები პროფესიულ დღესასწაულს ყოველწლიურად აღნიშნავენ. არც წლეულს ვულალატეთ ტრადიციას და საკრებულოს სხდომათა დარბაზში ხელისუფლების წარმომადგენლებთან და ჩვენს მკითხველებთან ერთად აღვნიშნეთ 21 მარტი, ქართული ჟურნალისტიკის დღე და ამავდროულად, ქართული ჟურნალისტიკის 200 წლიანი იუბილე. თარიღები კი მრავლად დაგვგროვებია: მომავალ წელს "სამტრედიის მაცნე" 90 წლიან სახელოვან იუბილეს აღნიშნავს, გაზეთი, რომელიც პოლიტიკური ფორმაციებისა და პოლიტიკური რეჟიმების ცვლას თავისი ობიექტურობით და პრინციპულობით ეგებებოდა, ამიტომაც მოვიდა დღემდე და პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს. 30 წელი უსრულდება ასევე, სამტრედიის ტელერადიოპრესკომპანია ზარს.

საზეიმო შეხვედრას "სამტრედიის მაცნეს" გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი გაუძღვა, მან პირველი ქართული გაზეთის "საქართველოს გაზეთის" დაარსების ისტორია გაიხსენა, ჟურნალისტიკის როლსა და დანიშნულებაზე ისაუბრა და "სამტრედიის მაცნეს" მრავალწლოვანი და ღირსეული ისტორია შესახსენა დარბაზში მყოფ მრავალრიცხოვან გულშემატკივარს.

თავის გამოსვლაში მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის უფროსმა, სოფიო კირთაძემ გაიხსენა, როგორ გაჭრეს ადგილობრივი ონლაინ სივრცე და დააფუძნეს საინფორმაციო გვერდი. მან ქართული ონლაინ ჟურნალისტიკის ისტორიაც გაიხსენა. ასევე მიესალმა დარბაზში მყოფ მრავალრიცხოვან გულშემატკივარს "სამტრედიის მაცნეს" პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა, რომელმაც გაზეთისადმი მოსახლეობის უპრეცედენტო ინტერესზე ისაუბრა, გაიხსენა, თუ როგორ გამოიარა ამ პერიოდულმა გამოცემამ მრავალი ისტორიული პერიოდი და დღესაც აქტიურად მოღვაწეობს. ბეჟან გოგიამ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ გაზეთი მრავალგზის გახდა დარგის ლიდერი და არაერთი ჯილდოს მფლობელი. მან გაზეთში მოღვაწე ჟურნალისტები დიპლომებითა და სამახსოვრო საჩუქრებითაც დააჯილდოვა. "სამტრედიის მაცნეს" წარმატებებზე ისაუბრა მთავარმა რედაქტორმა, ქეთევან ჭელიძემ და წარმატებები უსურვა სრულიად ქართულ მედიას. დარბაზში მყოფი მედიასაშუალებების წარმომადგენლებს მიესალმა მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი, ლამარა დუნდუა და განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა საბიბლიოთეკო ღონისძიებათა გაშუქებისათვის და თანადგომისათვის. მუნიციპალიტეტის მერი, ვალერიანე ფოცხვერია მიესალმა ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებს, ობიექტურობა შეუქო და განაცხადა, რომ ჟურნალისტი მხოლოდ სიმართლეს უნდა ემსახურებოდეს და არა რომელიმე ხელისუფლებას. _ მიეცეს ქვეყანაში არსებულ ვითარებას იმის საფუძველი, ნაკლებ პრობლემებზე გეწეროთ, მიმართა მედიის წარმომადგენლებს გამგებლის მოადგილე დავით ბახტაძემ და წარმატებები უსურვა. მუნიციპალიტეტის საკრებულოს როგორც უმრავლესობის, ისე უმცირესობის წევრებმა უდიდესი პატივისცემა გამოხატეს ადგილობრივი მედიასაშუალებების მიმართ. მათ წარმატებები უსურვეს რთულ და საპასუხისმგებლო საქმიანობაში საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურიამ და თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგურმა. ასევე მიესალმა შეკრებილთ საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნების" თავმჯდომარე, ტარიელ დვალიშვილი. განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი "სამტრედიის მაცნეს", როგორც უძველესი პერიოდული გამოცემის საქმიანობას ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე ემზარ შუბლაძემ და აღნიშნა, ჩვენს დროში, როცა ახალი თაობა წიგნს დაშორდა, "სამტრედიის მაცნეს" ის მისიაც დაეკისრა, კითხვის და წიგნიერებისკენ მიაბრუნოს ახალგაზრდები. ისინი კი წიგნიერები რომ არიან, ამას დარბაზში წარმოდგენილი "ახალგაზრდული პარლამენტის" წევრებიც მოწმობდნენ. ახალგაზრდები დაინტერესდნენ ჟურნალისტურ სივრცეში არსებული პრობლემებით, პრესის, ტელევიზიისა და ელექტრონული გზით გავრცელებული ინფორმაციის თავისებურებებით, თვით ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტებით და კითხვებზე მოქმედი ჟურნალისტებისაგან ამომწურავი პასუხები მიიღეს. საინტერესოდ შეაფასა მედიის მოღვაწეობა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებული ახალგაზრდული პარლამენტის ლიდერმა, თამუნა ჯინჭველეიშვილმა. მედიის წარმომადგენლებს მიესალმა მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორი, ტატა გოგუაძე და მადლობა გადაუხადა მხარდაჭერისათვის.

ტელეკომპანია ზარის მოახლოვებული იუბილე შეახსენა საზოგადოებას ჟურნალისტმა შორენა ნიკოლეიშვილმა და ტელეკომპანიის მნიშვნელოვან როლს და ფუნქციას გაუსვა ხაზი.

მიზნობრივი დაფინანსება წელს პირველად მიიღეს

გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამსახურმა საგაზაფხულო სამუშაოები დაიწყო. როგორც გათვალისწინებული ჰქონდათ, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, გაზონებზე და საყვავილე რაბათებზე დეკორატიული საყვავილეები განათავსეს და სხვადასხვა ჯიშის ყვავილები დარგეს.

მუნიციპალიტეტის მერის დახმარებით წელს პირველად მიიღეს მიზნობრივი დაფინანსება სტანდარტული ყვავილნარების მოსაწყობად.

როგორც გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, ელგუჯა კალაძე ამბობს: "სასაფლაოების კეთილმოწყობა ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია გაერთიანების საქმიანობაში და როგორც არასრდოს, წელს მეტი ყურადღება დაეთმობა სასაფლაოების ტერიტორიების კეთილმოწყობასა და მოწესრიგებას. ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს ტერიტორიების შეღობვითი, ხე-ნარგავების გასხვლა-გაცელვისა და სასაფლაოებამდე მისასვლელი გზის შესაწამლი ხსნარებით დამუშავების სამუშაოები".

გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამსახურმა თავისი ტექნიკური მაჩვენებლებით ბავშვებისთვის გარკვეული საშიშროების შემცველად ჩათვალა მომავლის პარკში დამონტაჟებული ატრაქციონი. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით შეიძინეს თანამედროვე დიზაინისა და მოთხოვნების საბავშვო ატრაქციონი, რომლის მოვლა-პატრონობა კეთილმოწყობის სამსახურს დაევალა. ამჟამად მომავლის პარკში ატრაქციონის სრული მზადყოფნისთვის ტექნიკური და სანიტარული ინსპექტირება მიმდინარეობს.

ნინო ნანიტაშვილი

„ჩორნა" ჭავჭავაძის ქუჩიდან

საქართველოში ძაღლის უფლებებს იცავენ. ადამიანებს ეკრძალებათ თუნდაც მაწანწალა, გაავებული შინაური ცხოველის წვალება და მოკვლა. უმეტესობა ამას ბეჯითად იცავს, თუმცა, უფლებათა დამრღვევებად ხშირ შემთხვევაში სწორედ ისინი გვევლინებიან, რომლებსაც ქუჩაში გადასაგდებად არ დაეწანათ ძაღლები, წლების განმავლობაში მათ ოჯახებს ერთგულად რომ დარაჯობდნენ.

ერთი ასეთი მსხვერპლი "ჩორნაა". ბეწვის ფერიდან გამომდინარე, მას სახელი ჭავჭავაძის ქუჩის მობინადრეებმა შეურჩიეს. სავარაუდოდ, ოჯახიდან გადმოგდებული ძაღლი ჭავჭავაძის ქუჩის 36 ნომერში მდებარე საცხოვრებელ სახლს შეეკედლა, ისარგებლა მობინარდეების კეთილგანწყობით, რომლებიც უპატრონო შინაურ ცხოველს პურით კვებავდნენ. ბოლოს კი ისე გათამამდა, რომ 4 სართულიანი კორპუსი თავისი სადარბაზოებით მთლიანად დაისაკუთრა, გზის შემოკლების მიზნით ეზოში გამვლელ უცხო ადამიანებს ღრენა დაუწყო და უკიდურეს შემთხვევაში მათ არც კბენა დააკლო.

ადგილობრივები "ჩორნას" ერთგულებას არ უჩივიან, თუმცა მიკედლებულმა ძაღლმა ამ ბოლო დროს შინაურ-გარეულზე კონტროლი დაკარგა და საკბენად უკვე კორპუსის მობინადრეებისკენაც გაიწია.

შეშინებული მოსახლეობა ბავშვებს ეზოშიც ვეღარ უშვებს, ჩვენამდე ის სამსახური მოიძიეს, რომელსაც მაწანწალა ძაღლების ქალაქიდან გაყვანა ევალება, მაგრამ მსგავსი ვერაფერი ნახეს.

ნინო ნანიტაშვილი

ქართველ ჟურნალისტებს

სად ომია, სად ამბოხი,
სად მიწისძვრა, სად გრიგალი,
სად შრომაა, ბარი, თოხი,
სად სპორტული ქარიშხალი.
კინო, ცეკვა, განათლება,
სიმღერა თუ თეატრია,
რა შენდება, რა კეთდება,
მსოფლიო რამ გადარია.
ყველაფერი თქვენით ვიცით,
მასმედიის მუშაკებო,
გარჯისთვის მადლობას გიხდით,
სიახლეთა გუშაგებო.
დარაჯობდეს ხალხურ საქმეს,
სხვა არავინ გვეგულება,
სწორედ ამიტომ შეგარქვეს,
მეოთხე ხელისუფლება.
მე უფრო წინ დაგაყენებთ,
ეს რომ იყოს ჩემი ნება,
ოღონდ სწრაფად გაგვაგონეთ,
ქვეყანა რომ გაბრწყინდება.
პროფესიულ დღეს გილოცავთ,
სიტყვა თქვენი ოქროდ ფასობს,
თქვენი ღვაწლი, მე გისურვებთ,
ქვეყანამ რომ დააფასოს.

აკაკი რუხაძე

მოვლენ ის მოსწავლეები, რომლებიც სწავლისთვის არიან მონდომებულნი

ქეთევან ჭელიძე

"განათლების სისტემის ერთიანი კომპლექსური ცვლილება" _ გეგმა, რომელიც ხუთ მიმართულებას აერთიანებს, ისევ და ისევ განხილვის საგანია. მიუხედავად საატესტატო გამოცდების გაუქმებასთან დაკავშირებული კრიტიკისა, მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი დაბეჯითებით ირწმუნება, რომ დამამთავრებელ კლასებში ალტერნატივა გახდა მომზადება KAT-ის გამოცდებისთვის და არა ყურადღების გამახვილება იმ სასკოლო პროგრამებზე, რითაც მოსწავლემ უნდა ისწავლოს. გუნდურობა, საკომუნიკაციო და ანალიტიკური უნარები მოთხოვნაა, რასაც მოსწავლეს ვერ აძლევს ზოგადი უნარები, მიაჩნია მინისტრს და ამიტომაც ამართლებს ეროვნული გამოცდიდან მის მოხსნას. ხუთი მიმართულებიდან, ჯერჯერობით, ჩვენ ისევ ზოგად განათლებაზე ვაკეთებთ აქცენტს, თუნდაც, ჩვენი მუნიციპალიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე. ამჯერად ინტერვიუს მუნიციპალიტეტის № 1 საჯარო სკოლის წარმატებულ დირექტორთან, ქალბატონ ხათუნა ფაილაძესთან შემოგთავაზებთ.

_ ახალი რეფორმის მიზანი განათლებაზე ორიენტირებაა, ცვლილებებს უკვე მერამდენედ განიცდის სისტემა, თუმცა, სერიოზული ხარვეზები ისევ არსებობს. ცვლილებებს ეჭვის თვალით უყურებს საზოგადოება. თქვენ რა მოლოდინი გაქვთ?

_ ზოგადად რეფორმა, პირველ ეტაპზე, უმრავლესობისთვის ყოველთვის არის სკეპტიკური. გაამართლებს, არ გაამართლებს, ამას დრო გვიჩვენებს. აქამდე რა ცვლილებებიც მოხდა, თვლიდნენ, რომ არ ვარგოდა. სინამდვილეში ეს ასე არ იყო, ბევრი კარგი ნაწილი ჰქონდა მას. რაც შეეხება KAT-ის გამოცდების მოხსნას, მე ვთვლი და ჩემს გარდა საზოგადოებაც, რომ მისი ფორმატი შესაცვლელი იყო, რადგან იგი ნამდვილად ვერ ადგენდა ცოდნის დონეს.

_ როგორც ახლა, თქვენ და ბევრი სხვა, KAT-ის გამოცდების მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას, სამინისტროს დონეზე თუ აფიქსირებდით?

_ წინა მინისტრს, ჯეჯელავას, როცა ხშირად ჰქონდა მასწავლებლებთან შეხვედრა, ჩემი მოადგილის მიერ დაფიქსირდა მინუსები, რაც რეფორმის მიმდინარეობას ახლდა თან. სხვათა შორის, ძალიან სერიოზულად მოუსმინა. ბატიაშვილთან შეხვედრა არ გვქონია, პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს კი, ჩვენ _ არც ერთს.

პირველი რეაქცია, რაც გამოცდის მოხსნას მოჰყვა, იყო უარყოფითი. არგუმენტი, რომელიც გაჟღერდა, გახლდათ ის, რომ ბავშვები კონკრეტულად გამოცდებისთვის ემზადებიან და შემდგომ ამ ცოდნის რეალიზებას სათანადოდ ვერ ახდენენ. ჩემი აზრით, ეს არასწორია. ჩემს რეალურ ცოდნას გამოვიყენებ როგორც გამოცდისთვის, ისე ცხოვრებაში. ეს დაგროვილი, ფაქტობრივი ცოდნა გონებას ავითარებს, ტვინის ხვიარებს ზრდის და მისი რეალიზება სხვადასხვანაირად შეიძლება. ყველა ვლაპარაკობთ მასლოუს აზროვნების იერარქიაზე. თუ რაღაც ცოდნა არ დავაგროვე, როგორ ავალ უმაღლეს დონეზე, სადაც შემიძლია შეფასება, მისი ცხოვრებაში რეალიზება. თუ ვინმე არ მკითხავს, რომელია რუსეთის დედაქალაქი, ეს ხომ არ ნიშნავს, რომ არ უნდა ვიცოდე რუსეთის, ან ამა თუ იმ ქვეყნის დედაქალაქი. კარგი გადაწყვეტილებაა და მივესალმები გამოცდებს მე-6, მე-10 კლასებში. მე-11, მე-12 კლასებში ნამდვილად ისეთები უნდა გადავიდნენ, რომელთაც სურთ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელება, ხოლო ნაწილი პროფესიულ სასწავლებელს მიმართავს, ანუ ბავშვმა რეალურად უნდა იცოდეს, სად უნდა სწავლის გაგრძელება. იმიტომ კი არ უნდა დადიოდეს სკოლაში, რომ სადმე სხვაგან არ წავიდეს, ან აბა, რა ჰქნას ქუჩაში დარჩენილმა. სკოლა ამ დროს მართლა დაემსგავსება სკოლას.

ჩვენ, ერთი მხრივ, ვამბობთ, რომ ბავშვს სულ არ სჭირდება ფაქტობრივი ცოდნა, დაგუგლავს და უცებ გაიგებს პასუხს. მაშინ რატომ ვთხოვთ უნივერსიტეტთან დამდგარ ახალგაზრდას, ვისი სახელობისაა უნივერსიტეტი? დაგუგლავს და გაიგებს. ე. ი. გვჭირდება ცოდნა ხომ? მაშინ ნურც გამრავლების ტაბულას ვასწავლით, კალკულატორები ყველგან ხელმისაწვდომია! ფაქტობრივი ცოდნა აუცილებელია, მაგრამ მისი რეალიზების, გამოყენების უნარ-ჩვევების ცოდნაა საჭირო.

მოსწავლემ უნდა დააგროვოს ცოდნა, მაგრამ ჩვენი მიმართულება სწორედ ისაა, როგორ ვასწავლოთ მას ამ ცოდნის გამოყენება, გაანალიზება, დახარისხება და ა. შ. KAT-ის გამოცდას შეენაცვლა სხვა რაღაც, რომელიც უფრო ეფექტური იქნება. ვგულისხმობ მე-6, მე-10 კლასის გამოცდებს. იქნება რეალური და სწორად მორგებული, მაშინ ვთვლი, რომ მე-11, მე-12 კლასებში დარჩებიან ბავშვები, რომლებიც ამ ორ წელს მოანდომებენ უმაღლეს სასწავლებლისთვის მომზადებას.

უმაღლესის სასწავლებლების არსებული ფორმატის შეცვლა არ მომწონს.

_ ალბათ, მზედველობაში ზოგადი უნარების გამოცდის მოხსნა გაქვთ.

_ თუნდაც, იგივე უნარ-ჩვევები, რომელიც ეხმარება ბავშვს, როგორ გაიაზროს უცხო ტესტი, როგორ შეიძლება, არ იცოდეს ელემენტარული არითმეტიკული ფორმულა, მაგრამ მიხვდეს, უნარულად მიუდგეს. დღეს ხომ უამრავი ახალი ტექნიკაა, რომლის გამოყენება არ ვიცით. თუნდაც, ტელეფონები, უამრავი სხვადახვა ფუნქციით შემოდის იგი, მაგრამ ადამიანი ხვდება იმას, როგორ რა გააკეთოს. ეს იყო სწორედ უნარის გამოცდა. უნარები ამას ავლენენ.

_ ზოგადი უნარების გაუქმებას ეროვნულ გამოცდებზე განათლების ექსპერტთა უმრავლესობა უარყოფითად აფასებს. ბატონ გივი ნოდიას ციტატას მოვიშველიებ: "უნარ-ჩვევების ტესტი ყველაზე მეტად ზომავს აბიტურიენტის მზაობას უმაღლეს სასწავლებელში სწავლისთვის". თუმცა, გაუქმების მიზეზი ის არის, რომ მან თავისი ფუნქცია ვერ შეასრულა. აქვე დავძენ საზოგადოების გარკვეული ნაწილის შეხედულებაზე, რომ ზოგადი უნარები ჩვენ ტრადიციულ, მორალურ და ეთიკურ ნორმებთან ბევრგან შეუსაბამობაშია.

_ ეს არის ტყუილი. საზოგადოება, რომელიც ამბობს, რომ უნარის ტესტებში იყო, ადგილი დაუთმოს თუ არა მოხუცს, ეს ნიშნავს, რომ მას ერთხელ არ წაუკითხავს ტესტები. 2006 წლიდან, რაც ზოგადი უნარების გამოცდა დაწესდა, ტესტი არ არსებობს, არ წამეკითხოს და ამომეხსნას. ასეთი რამ არსად წერია. მაპატიეთ და, ეს არის უვიცი საზოგადოების ნალაპარაკები. თუმცა, იქ იყო, ლეოპარდი ოცნებობს და ა. შ. რაც ლოგიკურ აზროვნებაზეა აგებული. სწორედ ეს არის, როგორ შეძლებს ადამიანი სრულიად უცხო ტექსტიდან ლოგიკური დასკვნის გამოტანას. ლოგიკური აზროვნება რომ გვიჭირს, ფაქტია. ამა თუ იმ რეზოლუციას, სადაც ყოველი სიტყვა ზედმიწევნით გაშიფრულია, ყველა სხვადასხვანაირად კითხულობს.

უნარების ცოდნა საშუალებას გაძლევს, სწორად გაიგო იგი.

ცალკე ლოგიკა არ ისწავლება, მაგრამ მეოთხე კლასიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით მათემატიკაში არის ლოგიკური ნაწილი, ჭეშმარიტი წინადადება, მისი საწინააღმდეგო. ლექციაზე დამჯდარმა ბავშვმა, რომლსაც სრულიად უცხო ლექტორი უცხო საკითხს აძლევს, უნდა შეძლოს, იქიდან სწორი პასუხი გამოიცნოს და არა ადგეს, გაკვეთილი მოჰყვეს თავიდან ბოლომდე და იმის იქით კითხვას რომ დაუსვამ, პასუხი ვერ გაგცეს. ეს არ უნდა მოხდეს. ზოგადი განათლება, რომელიც სკოლამ უნდა შესძინოს მოსწავლეს: კრიტიკული აზროვნება, აზრის ჩამოყალიბება, სწორი დასკვნების გამოტანა, მსჯელობა _ ეს ყველაფერი ადაპტირებული იყო ამ ტესტში, ანუ ზოგადი განათლება მიიღო ბავშვმა სკოლაში. ეს ვლინდებოდა უნარების ტესტით.

_ მაღალი იყო ეს უნარი თუ დაბალი, უმრავლეს შემთხვევაში აბიტურიენტები მაინც ახერხებდნენ უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარებას, მათ უნივერსიტეტების ფართო არჩევანი ჰქონდათ.

_ სადღაც რომ არ მოხვდეს ბავშვი, უნივერსიტეტები უნდა დახურო, დატოვო იმდენი, რამდენიც სჭირდება ქვეყანას, აკრედიტაცია უნდა იყოს მკაცრი. არ შეიძლება, ყველა შენობის სარდაფში იყოს უნივერსიტეტი. გადახედეთ ჩამონათვალს! საქართველოსთვის ამდენი უნივერსიტეტი ძალიან ბევრია, თუმცა, მაშინაც, როცა სამტრედიაში გვქონდა არაერთი აკადემია და უნივერსიტეტი, იმ პერიოდისათვის ინტელექტუალური საზოგადოება გადაარჩინა. ყველაფერს აქვს თავისი პლუსი, ვთვლი, რომ ეროვნული გამოცდების ფორმატი ძალიან კარგი იყო.

_ საატესტატო გამოცდების გაუქმების შემთხვევაში ოპონენტები სკოლებში კორუფციის საფრთხეს ხედავენ. თქვენ რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ეს ვარაუდი?

_ ვეწინააღმდეგები იმ აზრს, რომ ამით სკოლებში კორუფცია გაიზრდება. ეს არის შეურაცხმყოფელი არუმენტი. ბავშვი, რომელიც KAT-ის გამოცდაზე გადიოდა, მე თუ 5 ქულას არ დავწერდი, თუნდაც, 20 KAT-ის გამოცდა ჩაებარებინა, ატესტატს ვერ მიიღებდა. თუ მინდოდა, მაშინაც ხომ გავაკეთებდი ამ კორუფციას. მაშინაც მივიღებდი ინდაურს და "ბამბანერკას". ეს ძალიან სამარცხვინოა, შეურაცხმყოფელია ქართველი პედაგოგისთვის. მას თუ უნდოდა ბავშვის "გაფუჭება", KAT-ის გამოცდამდეც ჰქონდა შანსი. რის შედეგად აძლევდნენ ატესტატს? მედალს რით იღებდა, ვისი შეფასების საფუძველზე? კატის გამოცდის? არა, ისევ ჩემი შეფასების. მაშინაც მეკისრებოდა პასუხისმგებლობა, ვყოფილიყავი ობიექტური ან არაობიექტური, მაშინაც შემეძლო დამეწერა უღირსისათვის მაღალი ნიშანი და არ დამეწერა ღირსეულისთვის. KAT-ის გამოცდა იყო მასწავლებლის მიერ დაწერილი ნიშნების გადამოწმება. თუმცა, ის მიღებული ნიშნები გავლენას არაფერზე ახდენდა. მედლის კანდიდატი, მთავარი, არ ჩაჭრილიყო, თუნდაც, მინიმალური _ 5,5 ქულა მიეღო. 10 წელი რომ ბავშვმა სკოლაში იარა, რაღაც გააკეთა, ცოდვაა, ატესტატის გარეშე ხომ არ დარჩება?! 10 კლასის გამოცდას ვინც ჩააბარებს და გადავა ზედა კლასში მასწავლებლისთვისაც შეღავათია. მოვლენ ის მოსწავლეები, რომლებიც სწავლისთვის არიან მონდომებულნი.

_ საზოგადოებაში არსებობს პროტესტი რეპეტიტორების მიმართ. კითხვა, რატომ არ უნდა აძლევდეს სკოლა მოსწავლეს იმდენ ცოდნას, მომზადება აღარ სჭირდებოდეს, სისტემატურად ისმება. საატესტატო გამოცდების ერთ-ერთი მიზანიც რეპეტიტორობის აღმოფხვრაა.

_ მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს რეპეტიტორი, ადამიანი, რომელიც ეხმარება ბავშვს ცოდნის გაღრმავებაში. ის არგუმენტი, რომ რეპეტიტორების გამო მოიხსნას გამოცდები, ძალიან სამარცხვინოა. არ შეიძლება რეფორმის გამართლება-არგამართლება დააბრალო მასწავლებელს. კინდება ამით მისი ავტორიტეტიც. დღესაც შეუძლია მას რეპეტიტორი იყოს. არ დაუწერს მოსწავლეს ნიშანს და მერე ნახოს! გამოდის, რომ გაზრდილია რეპეტიტორების ინსტიტუტი. თუ ჩემზეა დამოკიდებული და იმ სულისკვეთებისა ვარ, რომ მომზადების გარეშე არ დავწერ ნიშნას, ასეც მოვიქცევი.

_ მაგრამ, ზოგჯერ, ასეთი სულისკვეთების მასწავლებლების მიმართაც ისმის საყვედურები.

_ KAT-ის გამოცდების მოხსნით ეს არ შეიცვლება. ის მასწავლებელი სკოლაში ისევ დარჩება. გამოცდის ჩასაბარებლად მოსწავლეები აღარ ივლიან მასწავლებლებთან, მაგრამ საგანში ხომ უნდა დაწეროს ნიშანი. თუ მე კორუფციული ვარ, ე. ი. ჩემთან უნდა მოემზადოს, რადგან მე უნდა დავწერო მას ნიშანი. თუ მე ვსაზღვრავ იმ ბავშვის მომავალს, ქათამს კი არ მივიღებ ქრთამად, მთელი წელი მოვამზადებ.

თუ სკოლაში მართლაც არის ისეთი მასწავლებელი, რომელზეც მკითხეთ, აქ უნდა ჩაერიოს შიდასასკოლო საზოგადოება. მოდი და მითხარი: თუ არ მოვემზადები, მასწავლებელი არ მიწერს ნიშანს-თქო. ჩემი პირდაპირი მოვალეობაა, დავიცვა ის ბავშვი მოძალადე მასწავლებლისგან. თუ ასეთები არსებობენ სკოლებში, ჩვენ, სკოლის დირექტორები ვართ ძალიან სუსტები. მოსწავლეს ყოველნაირად შეუძლია სკოლაში დაიცვას თავი და ამ მიმართულებითაც დაიცვას!

_ მასწავლებლის უფლებების დაცვაზე, თუ არ ვცდები, არც ახალ რეფორმაშია არაფერი ნათქვამი.

_ ცოტა ხნის წინ, სამოქალაქო განათლების მასწავლებელმა შემომიტანა ნაწერები, სადაც ბავშვები აფიქსირებენ თავიანთ მოსაზრებებს ამ რეფორმასთან დაკავშირებით, ვთქვათ, რას შესთავაზებდნენ მინისტრს. დაახლოებით, 70 პროცენტი წერდა, რომ უფრო მეტ უფლებას მისცემდა მასწავლებელს მოსწავლეებთან მიმართებაში. მოსწავლეც კი ხვდება, რომ მისი უფლება ზედმეტადაა დაცული. ის ხომ ხედავს თავისი თანაკლასელის საქციელს და როგორ იბრძვის მასწავლებელი იმ ცუდი ქმედების წინააღმდეგ. ჩარჩოშია მოქცეული, ზედმეტი არ მოუვიდეს კი არა, ზღვარს ქვემოთ იმოქმედოს.

საზოგადოება იცვლება, წინ მიდის და თაობები განსხვავდება ერთმანეთისგან. ჩვენც, მასწავლებლებმაც ფეხი თუ არ ავუწყვეთ, ეს დროება, ილიასი არ იყოს, "ისე გაგთელავს, როგორც დიდელი ლეკი ნაბადსა".

ჩვენ ხომ ვიბრძვით ბავშვების, უმცირესობების, ძაღლების უფლებებზე. ზოგადად, უმრავლესობის უფლებები დაცულია. ვთვლით, თუ ეს ასეა, ალბათ, ჩვენც იმ უმრავლესობაში ვართ, ვისი უფლებებიც ამ ქვეყანში დაცულია.

_ თქვენ, როგორც სკოლის დირექტორი, როგორ შეაფასებდით მინისტრს, მიხეილ ბატიაშვილს?

_ მინისტრი განსხვავებულად რომ ხედავს ყველაფერს, მომწონს. სიჯიუტე არ უნდა გქონდეს შენი ხედვის. თუ ამას არ დავინახავ მასში, რატომაც არა! ყოველთვის ნოვატორი ვიყავი, მიყვარს სიახლეები. ვფიქრობ, როგორ შევძლებ მათ დაძლევას. არასოდეს მეშინია სიახლეების, ვიგებ, ვავითარებ, ვცდილობ ჩემი და ჩემი სკოლის საჭიროებას მოვარგო. სიახლეები ყოველთვის მისაღებია, რაღაც კარგს ყოველთვის ტოვებს. ბოლოს და ბოლოს, განვითარების საშუალებას გვაძლევს.

_ როგორც ამბობენ, "ახალი სკოლის მოდელის" ფარგლებში ექსპერიმენტმა გაამართლა თბილისის 150-ე საჯარო სკოლაში და მალე ეს გამოცდილება სხვა სკოლებშიც გავრცელდება. თქვენ რამდენად იცნობთ ამ ექსპერიმენტს?

_ საქმე რაშია იცით? ყველა სკოლას აქვს თავისი სპეციფიკა. არ შეიძლება, ერთი საჭრეთელით მოჭრა ყველგან ყველაფერი. არგუმენტი, რაც აქვს 150-ე სკოლას, დაუდო ჩემს სკოლას, რადგან სრულიად განსხვავებულია საზოგადოება, რომელიც ამ სკოლაში ასწავლის და სწავლობს.

_ ე. ი. კანონი ლავირების საშუალებას უნდა იძლეოდეს?

_ დიახ, სწორედ ამას ვამბობ, მორგებული უნდა იყოს თითოეულ სკოლაზე. სიახლეებმა რაიმე კარგი უნდა დატოვოს და არ უნდა გაანადგუროს ის, რაც აქამდე შექმნილა, არ შეიძლება, ხაზი გადაუსვა ყველაფერს, რაც მანამდე ყოფილა.

_ განათლების ახალი რეფორმა ხმაურით შემოიჭრა სასკოლო ცხოვრებაში და არც მარტო სასკოლოში. ამ ეტაპზე რა შეიცვლა მან თქვენს სკოლაში?

_ პირველი პერიოდი საშინელი იყო. იყო იმის მოლოდინი, რომ ვიღაც აფრებს აუშვებდა, მაგრამ სიტუაცია იგივე მაქვს სკოლაში. მყავს შესანიშნავი მე-11 კლასი. შემიძლია ვთქვა, რომ ის რეფორმა, რომელიც მინისტრმა დაგეგმა, მე შედარებით ადრე განვახორციელე. მე-11 კლასი სრულიად დავწფინდე ისეთი ბავშვებისაგან, რომლებიც საერთოდ არ დადიოდნენ სკოლაში, არ სურდათ სწავლა. რა თქმა უნდა, სხვადასხვა არგუმენტებით, თორემ სკოლიდან არ გამირიცხავს. ისინი სხვა სკოლებში გადავიდნენ. იმის გამო, რომ სკოლის კონტიგენტი გამეზარდა, ამ პრინციპით არ მიხელმძღვანელია. ჩემი მე-11 კლასი დღემდე ურყევად, იგივე ტემპით სწავლობს.

რაც სკოლის დირექტორი ვარ, ერთხელ ჩავარდა, თორემ ყოველწლიურად გვაქვს შიდა სასკოლო გამოცდები, რის საშუალებასაც ეროვნული სასწავლო გეგმა გვაძლევს. ჯერ იყო ტესტური წერილობითი, მერე შევქმენით ელექტრონული ბაზა ტესტების და KAT-ის გამოცდების მსგავსად აბარებდნენ მოსწავლეები კომპიუტერთან გამოცდებს მეშვიდედან მეათე კლასის ჩათვლით. ბავშვებს ვაჩვევდით ამ სისტემით გამოცდების ჩაბარებას. თუმცა, წელს გვითხრეს, ტესტირება აღარ ყოფილიყო და სულ სხვა ფორმატით დავტოვეთ იგივე გამოცდები.

არ შეიძლება, შუა სასწავლო წელში შემოიტანო ცვლილებები. მე-11, მე-12 კლასებში, როგორც გითხარით, 30-30 ბავშვია დარჩენილი, მაგრამ მყავს ის ბირთვი, რომელთანაც არანაირი გამოცდის არ მეშინია და ეს ბავშვები შექმნიან საქართველოს მომავალს.

ახლა რეალურად ჰაერში ვართ, უცებ შეცვალეს ყველაფერი

ქეთევან ჭელიძე

განათლების რეფორმაზე მსჯელობას მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ვაგრძელებთ, რადგან ის, რაც ხდება, მათთვის და მათ გარშემო ვითარდება. თაობამ, რომელიც არა მარტო თანამედროვე ტექნოლოგიებს ფლობს, ადამიანური ღირებულებების ფასიც კარგად იცის, პრაგმატულები და თანაც სულიერებით სავსენი არიან. ისინი მსჯელობენ, აზრებს გვიზიარებენ, სწავლობენ და გვასწავლიან კიდეც. მკითხველისთვის, ალბათ, საინტერესო იქნება მათი შეხედულებების გაცნობა, რომელთაგან ბევრი გასათვალისწინებელი და მისაღებია.

თამუნა ჯინჭველეიშვილი მე-4 საჯარო სკოლის მე-11 კლასელია, რომელსაც საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე სურს სწავლის გაგრძელება, მე-11 კლასშია ეკა ართქმელაძეც, მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლე, მომავალი ექიმი. გიორგი სულაქველიძე და საბა მიქელაძე მე-12 საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლეები არიან. გიორგის არჩევანია კომპიუტერული მეცნიერებები და მათემატიკა, საბა კი ვარაუდობს, ბიზნესადმინისტრირების ფაკულტეტზე ან ეკონომიკურზე ჩააბაროს.

ეკა ართქმელაძე

თამუნა ჯინჭველეიშვილი

გიორგი სულაქველიძე

საბა მიქელაძე

_ მთელ ქვეყანაში თქვენმა თანატოლებმა განსაკუთრებული მოწონება და სიხარული KAT-ის გამოცდების მოხსნის გამო გამოხატეს. თქვენ როგორ შეაფასებდით ამ ფაქტს და, ზოგადად, ამ გამოცდებს?

გიორგი სულაქველიძე: _ დიდად არაფერს ნიშნავდა, დროის ფლანგვა იყო. ელემენტარული ცოდნა, რასაც საატესტატო გამოცდები მოითხოვდა, ყველას უნდა ჰქონდეს. ქიმიაში ისეთი ტესტები შემხვდა, მართლა მეწყინა, რეპეტიტორთან რომ ვემზადებოდი. ზოგადად, მარტივი იყო ყველასთვის. საგნები, რაც KAT-ის გამოცდაზე ბარდებოდა, ეროვნულისთვის არ მჭირდებოდა. მჭირდება მათემატიკა და ვსწავლობ კარგად, საშუალოზე კარგად, სამტრედიის დონეზე მაინც. ამას იმიტომ ვამბობ, რომ კერძო სასწავლებლის მოსწავლე გაძლიერებული პროგრამით სწავლობს მას და გიჩნდება ამბიცია შენც დაეწიო. ერთმა კომარაველმა, მე-11 კლასელმა ნიკოლოზ ბირკაძემ, დადო თავისი აღმოჩენები და 5 წუთში ერთი ცნობილი მეცნიერის აღმოჩენები მთლიანად დაამხო. ეს იმით არის გამოწვეული, რომ სწავლობს სხვა სახელმძღვანელოდან. იმან იცის ტერმინოლოგია, რომელსაც სკოლაში ასწავლიან. მისი მეშვეობით უნდა მოიპოვოს მასალა ინტერნეტში და ისწავლოს. ერთმა ადამიანს მითხრა, მე შენ უნდა გასწავლო სწავლაო, ე. ი. ინტერნეტიდან როგორ ისწავლო, ის უნდა გასწავლოო.

ძალიან ცუდია, მაგრამ საქართველოში უნივერსიტეტის დიპლომი თუ არ გაქვს, სამრეცხაოშიც არ გამუშავებენ...

თამუნა ჯინჭველეიშვილი: _ უმრავლესობა ვეთანხმებით იმ აზრს, რომ საატესტატო გამოცდები იყო ძალად შექმნილი და მიზანი იყო, რომ აგვეღო ის ერთი ფურცელი, რომელიც რეალურად ვერ ასახავდა იმ ცოდნის დონეს, რომელსაც 12 წლის მანძილზე სკოლაში იძენდა მოსწავლე. ძალიან ცუდია, რომ სწავლას, შემეცნებას, გააზრებას კი არა, უმთავრესად საატესტატოს შედეგს დაეყრდნო სკოლა. ძირითადად, სკოლის მნიშვნელოვანი, ფუნდამენტური ღირებულებები იყო შესაცვლელი. საატესტატოს გაუქმება, ალბათ, აქეთკენ გადადგმული ნაბიჯია.

_ მინისტრს მოლოდინი აქვს, რომ მოსწავლეები სკოლებში საატესტატო გამოცდების გარეშე უკეთ ისწავლიან. როგორც განმარტავენ, KAT-ის გამოცდებისთვის დაგროვილი ცოდნა გამოცდებთან ერთად ქრებოდა.

გიორგი სულაქველიძე: _ ნოდარ დუმბაძისა არ იყოს, თავგასიებული შევდიოდით გამოცდაზე და ყველაფერს ვტოვებდით იქო, ეგრე იყო. ელემენტარული ცოდნა აუცილებლად უნდა გქონოდა, მაგრამ სიღრმისეული ცოდნა იმ საგნშია საჭირო, რომელიც შენი პროფესიისთვისაა აუცილებელი. როგორც გერმანელებს აქვთ, ზოგადი ელემენტარული განათლება ყველაფერში, პროფესიაში კი ძალიან მაგრები არიან.

ეკა ართქმელაძე: _ საატესტატო იყო ტესტური, დახურული კითხვებით შედგენილი. ამით არ ფასდებოდა ძირითადი უნარ-ჩვევები, რომელიც პროფესიის არჩევაში, კარიერულ განვითარებაში იყო მნიშვნელოვანი. საატესტატო გამოცდები მაშინ იყო მისაღები, როცა ფასდებოდა ქულით და ნიშანი იწერებოდა გამოცდის ბოლოს. შეიძლება ზედაპირული ცოდნა მოწმდებოდა, მაგრამ ჰქონდა თუ არა ბავშვს მიდრეკილება ამა თუ იმ საგნისადმი, ჩნდებოდა. როცა ნიშანი მოხსნეს, ამ შემთხვევაში ფორმალური დარჩა ეს გამოცდა. არაფერს აძლევდა მოსწავლეს გარდა სტრესისა და დროის ფუჭად ხარჯვისა. ძალიან რთულია 2 წლის განმავლობაში 12 გამოცდის ჩაბარება. გამოცდების მოხსნის შემდეგ უკეთესად მოახერხებენ მოსწავლეები, აირჩიონ თავიანთი პროფესიები და მაქსიმალური ძალისხმევა დახარჯონ იმ საგნებისთვის, რომლებიც მათი განვითარებისა და წინსვლისთვის უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს.

საბა მიქელაძე: _ სხვადასხვაგვარად შემიძლია ამ საკითხის განხილვა. ერთი მხრივ, უდავოა, რომ ჩემთვის და ყველასთვის სტრესის მოხსნაა, დროის, თითქოსდა, ფუჭი ხარჯვა, მაგრამ მეორე მხრივ, ზოგად განათლებას მაინც გაძლევდა. ჩემი აზრით, საქართველოში ძალიან მიზერულია განათლება. დიდი დროა საჭირო, მეცნიერება განვითარდეს. პირადად მე, მიყვარს კი არა, შემიძლია, მთელი ცხოვრება გეოგრაფიის განხრით ვიმუშავო. გეოლოგია ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, ჩვენი ლანდშაფტით, რელიეფური მდგომარეობით. ძალზე დასაფასებელი პროფესიაა, მაგრამ ჩვენი ქვეყნის რეალობაში არა პროფესიული წინსვლა, არამედ უპირველესი მატერიალური კეთილდღეობაა. უაზრობაა, ავირჩიო გეოლოგია, დავიწყებ თუ არა ამ პროფესიით მუშაობას, ეს მეორე მხარეა, ცოტაა ამ მხრივ შანსი. პირობითად ავირჩიო ეკონომიკა, სამართალი, რაც გავრცელებულია, დაიწყებ მუშაობას, მაგრამ ყოველი მეორე ეკონომისტია და სამართალმცოდნეა.

ვფიქრობ, სწავლების ტიპი უნდა შეიცვალოს. რატომ უნდა გძულდეს ფიზიკა, ქიმია, გეოგრაფია. თეორიულად ძნელია აღიქვა ფიზიკა, ის არ არის მარტო წესები. ვთქვათ, არქიმედეს კანონი წესით არ უნდა თქვა, არამედ ცდის საშუალებით. საქართველოს და თუნდაც, სამტრედიის ეკონომიკა არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ყველა სკოლაში ყველა გაკვეთილზე ცდა ჩავატაროთ. არიან მასწავლებლები, მაგალითად, ჩემს სკოლაში ისტორიის მასწავლებელი მაია გიორგაძე, ქიმიის მასწავლებელი ნინო ონიანი და სხვები, ნებისმიერ შემთხვევაში არ გვაშორებენ საგანს. არ არის შესაბამისი სასკოლო ინვენტარი, მაგრამ თავიანთი გადმოცემით საინტერესოს ხდიან გაკვეთილს.

KAT-ის გამოცდების პირობებში ვინც სწავლობდა, ის ისევ გააგრძელებს სწავლას. ვინც არ სწავლობდა, იძულებული იყო ესწავლა. "იძულებული" ცოტა უხეში ნათქვამია, მის საკეთილდღეოდაა ხომ ნებისმიერ შემთხვევაში! სხვადასხვა საგნში ზედმეტ-ნაკლებად ცნობიერდებოდა და უვიცად არ უყურებდა საგანს. ჩემთვის მიუღებელია საატესტატო გამოცდების მოხსნა. შეიძლებოდა, რაღაც მინიმალურად შეცვლილიყო, მაგრამ ამ ფორმით დაეტოვებინათ. ცოტა საწყენია, 11 წელი რომ სწავლობ, ვთქვათ 9, 10 ქულებს ღებულობ კომპიუტერით და ამის შესაძლებლობას მოგიხსნიან.

იმ ერთ კონკრეტულ საგანზე, რომელიც ეროვნული გამოცდისთვის გჭირდება, მაქსიმალურად უნდა გადაერთო. უნივერსიტეტი ხომ მარტო ერთი განხრით გამზადებს იმისთვის, რომ...

თამუნა: _ იყო პროდუქტიული ბაზარზე.

საბა: _ დიახ, პროდუქტიული ბაზარზე. კომპეტენტური უნდა იყო ნებისმიერ სფეროში. რა თქმა უნდა, არა ისეთი, როგორც შენს მიერ არჩეულ პროფესიაში, მაგრამ საკუთარი სიტყვის თქმა უნდა შეგეძლოს.

_ გამოდის, რომ უფრო პრაგმატულები ხართ და პროფესიებსაც აქედან გამომდინარე ირჩევთ.

საბა: _როგორც აღვნიშნე, მთელი ცხოვრება შემიძლია გეოგრაფიას მივუძღვნა, მაგრამ რომ ჩავაბარო, მარტო სახელად ხომ არ უნდა იყო. ჰიდროლოგი, გეოლოგი _ ძალიან საჭირო პროფესიებია კაცობრიობისთვის, მაგრამ დასაქმების შანსი არ არსებობს. ამიტომაც ავირჩიე ორი სფერო: ბიზნესადმინისტრირება და ეკონომიკა.

_ ე. ი. უარს ამბობ საყვარელ საქმეზე.

საბა: _ ასეა, უარი უნდა ვთქვა სურვილზე, რეალობა ასეთია.

ეკა: _ გულწრფელები თუ უნდა ვიყოთ, ასეა. როცა ხედავ, რომ შენს ქვეყანას არა აქვს იმის საშუალება, რომ შენ პროფესიულად განვითარდე და შესაძლებლობების რეალიზება მოახდინო, იძულებული ხარ, ასე მოიქცე. არა აქვს ყველას იმის პირობა, უცხოეთში წავიდეს, კარგ სამსახურში, კარგ ლაბორატორიაში იმუშაოს. ირჩევს ისეთ პროფესიას, რომელიც საშუალებას მისცემს, ნორმალურად იცხოვროს.

_ 2020 წლიდან ზოგადი უნარები ეროვნულ გამოცდებზე სავალდებულო აღარ იქნება. თქვენი აზრით, რას აძლევს მოსწავლეს უნარების ცოდნა?

თამუნა: _ ცოტა ისეთი საკითხია, დაავალდებულო მოსწავლე, ჩააბაროს ის, რაც ცალკე საგნად არ ისწავლებოდა. უნარები აუცილებელ ცოდნას ამოწმებდა, მე-10 კლასის ჩათვლით იყო მათემატიკის მასალა, ასევე, ვერბალური ნაწილი, ტექსტის გააზრება, ანალოგია, ლოგიკა და ა. შ. ეს იყო რამდენიმე საგნის სინთეზი და შეიძლება ითქვას, საინტერესო სინთეზი. მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთია, ქართულ ტექსტებს კარგად ვაშინაარსებ და მათემატიკაში წილადები კარგად ვიცი, ამის იმედად, მე პირადად, ეროვნულ გამოცდებზე ვერ გავიდოდი. პირდაპირ გეუბნება სახელმწიფო, რომ შენ, გინდა თუ არა, ამ საგანში უნდა მოემზადო.

_ ერთია, რომ საერთო ცოდნას გაძლევთ, მაგრამ თქვენი აზრით, არის თუ არა საჭირო ეროვნულ გამოცდებზე ზოგადი უნარების ჩაბარება, რომელიც, ძირითადად, წყვეტდა აბიტურიენტის ბედს?

თამუნა: _ საჭირო არა, მაგრამ არჩევითი შეიძლება იყოს. მე სიამოვნებით შევიტანდი არჩევით საგნებში. დარწმუნებული ვარ, სკოლების უმრავლესობა ზოგად უნარებს დამატებით საგნად აირჩევს, როგორც სამოქალაქო განათლება შემოიტანეს და რაც ძალიან მომწონს. სკოლაში მცირედი მომზადება მაინც უნდა გვქონდეს უნარების, როგორც საგნის და მერე სახელმწიფოს ექნება უფლება, ჩამაბარებინოს იგი. ახლა ავტონომია უნივერსიტეტებსაც ეძლევათ, სურვილისამებრ აირჩიონ ზოგადი უნარჩვევები. მოსწავლეები მაინც დაზარალებულნი გამოდიან, ვალდებულები ვართ, საიდანღაც მოვიტანოთ ეს ცოდნა.

ეკა: _ უნარი არ არის საგანი. ის გაქვს, ან არ გაქვს. ამ გამოცდით ამოწმებდნენ დონეს, თუმცა იყო ისეთი შემთხვევები, როცა ერთი ან ორი წლის განმავლობაშიც კი მოსწავლეები ერთი და იგივე ტესტს აკეთებდნენ. ამით არ მოწმდებოდა უნარი, იმიტომ რომ ეს ტესტი გამჯდარი ჰქონდათ გონებაში. როგორც თამუნამ აღნიშნა, მოსწავლეებისა და მშობლებისთვის ტანჯვა იყო, გქონდა თუ არა მატერიალური პირობა, უნდა მომზადებულიყავი.

_ ახალი რეფორმით განათლებაზე ორიენტირებული სკოლა რეპეტიტორების საკითხს მთლიანად მოხსნის...

საბა: _ რეპეტიტორების თემა მტკივნეულია.

_ რამდენად რეალურია, როცა ამბობენ, თუ მასწავლებელთან არ მოემზადე, ნიშანს არ დაგიწერს.

საბა: _ ჩემს სკოლაში ისეთი მასწავლებლები არიან, ნიშნებზე კი არ ამახვევლებენ ყურადღებას, არამედ მაქსიმუმს აკეთებენ, ცოდნა მოგცენ. არიან მასწავლებლები, რომლებიც მხოლოდ გაძლევენ გაკვეთილს და მერე ითხოვენ შენგან. ჩემს სკოლაში კი მასწავლებლები ყოველთვის რაღაცას გატანენ სკოლიდან...

_ და მაინც გჭირდებათ რეპეტიტორი.

ეკა: _ მოსწავლემ არ უნდა ისწავლოს არც ნიშნისთვის და არც გამოცდისთვის, არამედ იმისთვის, რომ მიიღოს ცოდნა.

_ განათლების რეფორმა, იცით, რომ გრძელვადიანია და რეალურ შედეგს რამდენიმე წლის შემდეგ მოგვცემს.

თამუნა: _ თუმცა, ეს ერთი რეფორმა არ იქნება საკმარისი. კიდევ ბევრი რამ უნდა შეიცვალოს, ახლა, რეალურად ვართ ჰაერში, უცებ შეცვალეს ყველაფერი.

ეკა: _ არ არის კარგი, რეფორმის განხორციელება შუა წელში რომ დაიწყეს. იმდენად მოულოდნელი იყო, ჯერ კიდევ უჭირს მოსწავლეს ამ ყველაფრის აღქმა.

საბა: _ რატომ რეპეტიტორი? ეს, ალბათ, ბავშვის ფსიქიკაზეა დამოკიდებული, ცდილობს, რეპეტიტორით "თავი დაიზღვიოს." ნებისმიერი ბავშვი, რომელიც 8, 9 და მით უმეტეს 10 ქულაზე სწავლობს, ყველა შემთხვევაში ჩააბარებს გამოცდებს. მასწავლებელი იმდენს გაძლევს და სახელმძღვანელოშიც იმდენი წერია, არის დამატებითი სახელმძღვანელოები, საატესტატო მომზადების ცენტრები, რომ გეხმარება. მთავარია, რამდენად არის მონდომებული ბავშვი, ცოდნა მიიღოს. მეორე მხრივ, არის კონკრეტული მაგალითები, რომ მიდის ბავშვი რეპეტიტორთან და უბრალოდ უსმენს და ცოდნას ვერ იძენს. ეს უკვე ჭკუის თემა არ არის, არამედ სიზარმაცეა.

_ სასკოლო სახელმძღვანელოების შესახებ რას იტყოდით, რამდენად აკმაყოფილებს თანამედროვე სკოლის მოთხოვნებს?

გიორგი: _ ჩემი აზრით, სკოლებში ისევ ძველ სახელმძღვანელოებს იყენებენ.

თამუნა: _ მაგალითად, გეოგრაფიას 2012 წელს გამოცემული წიგნით ვსწავლობთ.

საბა: _ არის ბევრი ფაქტობრივი შეცდომა.

გიორგი: _ არც ახალს ქმნიან და არც უცხოურიდან გადმოაქვთ. ტერმინოლოგიაც უნდა შემოიტანონ სახელმძღვანელოში,

ბავშვმა მეტი ისწავლოს და განვითარდეს. მე 1993 წლის თოფურიას მათემატიკა მირჩევნია ერთად აღებული ყველა წიგნს, იმიტომ, რომ რთულია და სრულყოფილი. ერთ ადამიანს ვიცნობ, სენაკელ პედაგოგს, ემზარ პაპავას, რომელსაც 316 აღმოჩენა აქვს. მითხრა, რომ ჩემი აღმოჩენებისთვის სხვის, უცხოელების ჩანაწერებს ვიყენებო, სხვათა შორის, იგი მსოფლიოში აღიარებულია, როგორც რიცხვთა თეორიის ერთ-ერთი საუკეთესო მეცნიერი. კორეელი პროფესორები მას ფეისბუქგვერდზე უწერენ, რომ თქვენ ხართ რიცხვთა თეორიის მეფე. მითხრა, შენ ვერ წარმოიდგენია, რომ ამ წიგნებით, რითაც სწავლობთ, ვერაფერს გააკეთებო. იმათი საშუალო დონის მოსწავლეები თქვენს საუკეთესო მოსწავლეებს შორის საუკეთესონი იქნებიანო. თუ გინდათ, პარალელური გადატანის მეთოდი, საქართველოში შემოიტანეს გვიან, ვიდრე იქ, უცხოეთში. კიდევ მრავალი სხვა მეთოდი არსებობს, რომელსაც ვერ დაგისახელებთ, რადგან მე თვითონ არ მაქვს ნასწავლი, არ არის ჩვენს სახელმძღვანელოებში.

თამუნა: _ მე-10 კლასის ქიმიის სახელმძღვანელო არასწორადაა შედგენილი. 2 საათს ვსწავლობდით კვირაში და ვერ ვასწრებდით, წლის განმავლობაში დაგვესრულებინა. მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც შემდგომ გამოცდაზეც უნდა ჩაგვებარებინა, უსწავლელი გვრჩებოდა (არიან მასწავლებლები, რომლებიც ასწრებდნენ და ასწავლიდნენ). ეს ართულებდა საქმეს. აქამდე არ არის ეს ლაფსუსი გამოსწორებული.

საბა: _ წიგნებში არის ფაქტობრივი შეცდომები, რომლებსაც ჩვენ ვხვდებით და ვასწორებთ.

გიორგი: _ კარგი მოსწავლე აუცილებლად ჩაასწორებს. ჩემი აზრით, საქართველოში დღემდე არსებობენ თვითმყოფილი ლუარსაბები, მაგრამ მათ წინაშე ყოველთვის გამოჩნდება წელგამართული იგი და შეცვლის ყველაფერს. ეს იგი არის ემზარ პაპავა, ჩემი მასწავლებელი ელზა ხუჭუა, რომელიც ზედმეტადაც კი მიბარებს, რომ კარგად ვიცოდე საგანი. ის ნიკოლოზ ბირკაძე და თეიმურაზ თოლორაია არის ის იგი, რომელიც მოგანდომებს, უკეთესი იყო.

საბა: _ ქართველებს გონებაში აქვთ გამჯდარი, რომ ჰქონდეთ დიპლომი და მას გამოიყენებს თუ არა, მნიშვნელობა არა აქვს.

გიორგი: _ დიპლომი უფრო მშობლების თაობას უნდა. სიმართლე გითხრათ, ჩემი მშობლებისთვის მაქვს ნათქვამი, რომ ავირჩიე ისეთი პროფესია, რომელსაც დიპლომი არ სჭირდება. ის არის, ის, რომელიც მე მინდა. თუ შენ ხარ კარგი, აზროვნებ, არანაირად არ გჭირდება დიპლომი. მშობლებში, მართლაც, არის გავრცელებული თემა, რომ მათი შვილი აუცილებლად უნივერსიტეტში სწავლობდეს. ეს არის ბავშვის დაღუპვის წინაპირობა. უნდა ისწავლოს რაიმე პროფესია, სადაც იქნება კარგი. ყველას დიპლომი აქვს ამ საუკუნეში. არ მაქვსო, რომ თქვა, სირცხვილია და რატომ, არ ვიცი.

ეკა: _ იმიტომ გახდა უნივერსიტეტის დიპლომი აუცილებელი, რომ სხვა სასწავლებელი არ გვაქვს, სადაც ბავშვი თავის შესაძლებლობებს განავითარებს, თავის თავს იპოვის და პროფესიას შეიძენს.

საბა: _ ჩემი აზრით, ყველამ არ უნდა ისწავლოს უნივერსიტეტში. უნდა იყოს სახელობო სკოლები. ჩვენ გვინდა, რომ კარგ ქვეყანაში ვიცხოვროთ. როგორ? ისევ და ისევ მაღალი განათლებით, როდესაც შენ სწავლობ უნივერსიტეტში მხოლოდ იმიტომ, რომ უმაღლესი გქონდეს დამთავრებული და მერე სახლში დაჯდე, სხვა პროფესიით იმუშავო, ან იყო იმ პროფესიაში, მაგრამ არ იყო პროფესიონალი, დამღუპველია ქვეყნის ეკონომიკისთვის. ეკონომიკა კი არის განმაპირობებელი ფაქტორი ქვეყნის განვითარებისა. ასეთ დროს, როცა სათანადო განათლების დონე არ აქვს ადამიანს, სახელობო სკოლაში უნდა წავიდეს, დაეუფლოს სხვადასხვა პროფესიას და იგი გახადოს ქვეყნისთვის სასარგებლო. არ უნდა იფიქროს, რომ თუ ის ისწავლის იმ სკოლაში, სამარცხვინოა. პროფესიონალებზეა დამოკიდებული ქვეყნის განვითარება.

გიორგი: _ ჩემი აზრით, თუ არ აინტერესებს ახალგაზრდას უნივერსიტეტში სწავლა, შეიძლება ერთი ან ორი წელი, ასე თუ ისე, ისწავლოს, მაგრამ საბოლოოდ, მისი პროფესია იქნება "როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი", ოდესმე მაინც გადატყდება და დაიჩაგრება ის ადამიანი.

12 მარტს 100 წლის წინ და 12 მარტს წელს!

თეა ბაბუნაშვილი

“ხმოსანთა არჩევისა და სათათბიროს მუშაობის უმთავრესი პრინციპი უნისონშია უფრო მაშტაბური _ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს, პარლამენტის დეპუტატთა არჩევისა და მუშაობის ძირითად პრინციპებთან. ნებისმიერი სახის არჩევითი კამპანიის მონაწილე მხარე მოწოდებული უნდა იყოს გამოხატოს ერის უზენაესი ნება და მისწრაფებანი. ამისთვის საჭიროა ქვეყნის, საზოგადოების ძირითადი, უმნიშვნელოვანესი მოთხოვნების, მათი განხორციელების მექანიზმების ცოდნა, განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გამოყენების ხელოვნება საკუთარი ქვეყნისა და საზოგადოების თავისებურებათა პრიორიტეტის გათვალისწინებით. არ უნდა უფრთხოდეს განსხვავებულ აზრსა და სამართლიან კრიტიკას და უნდა გააჩნდეს საერო საქვეყნო საქმის შეთანხმებულად, კოლექტიურად კეთების, ერთობლივად მუშაობის უნარი იმის შეგნებით, რომ უდიდესი სიკეთე დედამიწაზე, თავისუფლება, წარმოუდგენელია, განუხორციელებელია, არამყარია მკაცრი დისციპლინის, მტკიცე ორგანიზებულობის და ასევე წესრიგის გარეშე.”

ამ სიტყვების მერე საუკუნე გავიდა. არადა, გგონია, დღეს უნდა დაწერილიყო. ქართულ რეალობაში თურმე 100 წელია, არაფერი შეცვლილა. მაგრამ, მაინც საამაყოა, რომ ქართული პარლამენტარიზმი 100 წელიწადს ითვლის. თუმცა, ისტორიული წყაროებით მას გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ თამარის ეპოქაში ეყრება საფუძვლები.

ის კი, რითაც დავიწყეთ, ნიკო ნიკოლაძის ნააზრევია, ლომის წვლილი რომ შეიტანა ქართული საარჩევნო სისტემისა და ზოგადად ქართული პარლამენტის ჩამოყალიბება-განვითარებაში. ალბათ, არავის გაუკვირდება, რომ ქართული პოლიტიკის ეს მნიშვნელოვანი თარიღი, ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში აღნიშნეს. საკუთარ ისტორიას რომ უფრო ვაფასებდეთ, გაცილებით წარმომადგენლობითი იქნებოდა იმ დღეს დიდ ჯიხაიშში სტუმრების ჩამონათვალი და სერიოზული ღონისძიების მასშტაბი. მაგრამ ეს მაშინ, წამხედურობაში ნიჭიერებმა საკუთარის ფასი რომ ვიცოდეთ! იმ მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ, საუკუნისწინანდელი რეალობიდან ერთიერთში რომ ეხმიანება დღევანდელობას, არ შეიძლება პოეტის სიტყვები არ გაგახსენდეს _ “რა შეიცვალა ნეტა მას აქეთ, რაც არსაკიძეს მკლავი მოჰკვეთეს!”

პრაგმატულად მოყოლილი იმ დღის ამბავი ასეთი იქნება: დიდ ჯიხაიშში, ნიკო ნიკოლაძის სახლმუზეუმში ქართული პარლამენტარიზმის 100 წლისთავ-

ის მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, სადაც ნიკო ნიკოლაძისა და ქართული პარლამენტის გასული საუკუნის ისტორიული რარიტეტები საზოგადოებას სახლ-მუზეუმის დირექტორმა ლია ბიბილეიშვილმა გააცნო.

ღონისძიება კი 12 მარტს, ანუ იმ დღეს ჩატარდა, 100 წლის წინ დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა რომ გაიმართა.

“ოპოზიცია აუცილებლად უნდა ჩასწვდეს საკითხების არსის ყველა წვრილმანს და სათათბიროს სხდომაზე უნდა გამოცხადდეს არა მხოლოდ ბუნდოვანი სურვილით, რაღაც კვიმატური უთხრას, არამედ მათ ხელთ უნდა ჰქონდეთ დასაბუთებანი და გადაწყვეტილებანი, რომელთა მეშვეობით შეეძლებათ არა მარტო ზეგავლენა მოახდინონ უმრავლესობის ნებაზე, არამედ უკიდურეს შემთხვევაში მოახერხონ მოსახელეთა ყურადღება წარმართონ საზოგადოებრივი საკითხების მართებულად გადასაჭრელად. როცა ოპოზიცია თავისი დანიშნულების ამ საჭირო მხარეების შესრულების ნაცვლად იწყებს გამგეობასთან მხოლოდ გესლიან ლაპარაკს თემაზე “გაკრეჭილი კი არა, გაპარსულია,” ეს ნიშნავს, რომ მას არ შესწევს ძალა კვალი დატოვოს არც მის ზედამხედველობის ქვეშ მყოფ ორგანოში და არც იმ მოსახლეობის აზროვნებაში, რომლის შემადგენლობაში თვით შედის.” _ ასეთი რამ ოპოზიციაზე უთქვამს ნიკო ნიკოლაძეს ჯერ ისევ მე-19 საუკუნეში. დაგვეთანხმებით, ვერც დღეს “შეუსწორებ” რამეს მას. ფაქტია, რომ თუ ოპოზიციური სპექტრი ნიკოს შეგონებას გაითვალისწინებს, უკეთესად იქნება ჯერ ქვეყნის და მერე თავად ოპოზიციის საქმე! ამიტომ დარბაზში კითხვა დაისვა, ოპოზიცია რატომ არ მოიწვიეთო, ღონისძიებაზე. როცა ოპოზიცია მოდის, ხელისუფლება არ გვსტუმრობს და პირიქით, როცა ხელისუფლება ჩვენთანაა, ოპოზიცია არ გვწყალობსო, მაშინ _ მიიღო პასუხად ლია ბიბილეიშვილისგან შეკითხვის ავტორმა.

არადა, ქალბატონმა ლიამ ჩვეული ინტელექტით ისაუბრა ნიკო ნიკოლაძის დამსახურებაზე ქართული სახელმწიფოებრიობის ამ მნიშვნელოვან სეგმენტთან მიმართებაში. მან კითხვით მიმართა დარბაზში შეკრებილ პედაგოგებსა და მოსწავლეებს, იყვნენ თუ არა თანახმა, კვირაში ერთხელ, თუნდაც, თვეში ორჯერ მუზეუმის თანამშრომლებს ნიკო ნიკოლაძის უკეთ გასაცნობად თითო საათიანი გაკვეთილი ჩაეტარებიათ საჯარო სკოლებში, რაზეც თანხმობა მიიღო. განათლების სამინისტრო არა მხოლოდ დღეს და გუშინ, არაერთი წლის წინ რომ უნდა დაფიქრებულიყო ამ თემაზე, ამაზე აღარ ვსაუბრობთ, რადგან ეს ისაა, რაც ყველამ იცის, ყველას სურვილია, მაგრამ როცა საქმე მის განხორციელებას ეხება, სდუმან ისინი, ვინც უნდა მოქმედებდნენ! ნიკო ნიკოლაძე, უდიდესი ფიგურა ქართული სინამდვილისთვის, გაცილებით მეტად რომ უნდა იყოს დაფასებული, არავინ დავობს, თუმცა, ქმედითი ნაბიჯების გადადგმას, ალბათ, იმდენი ხანი აგვიანდება, რამდენი წლისაც, თუნდაც, ქართული პარლამენტარიზმია!

მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული სამუშაოები, მასშტაბურიც კი, პერიოდულად ტარდება, გაცილებით მეტი ყურადღება არ აწყენდა მის სახლ-მუზეუმსაც. ჩვეული პირდაპირობით სახლ-მუზეუმის დირექტორს ხუმრობანარევი საყვედური არც თავად პრეზიდენტისთვის “დაუმადლებია”: “ნიკო ნიკოლაძის შვილთაშვილია ქალბატონი სალომე. საარჩევნოდ საკუთარი პროგრამის პრეზენტაცია აქ გამართა, საარჩევნო მარათონი აქედან დაიწყო და მას შემდეგ, რაც არჩევნები დასრულდა, საერთოდ არ გამოდის კავშირზე.”

მუნიციპალიტეტის მერს, ვალერიანე ფოცხვერიას, ნიკო ნიკოლაძესთან კავშირი აქვს. როგორ და ასე _ ისინი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრები იყვნენ. აღნიშნა კიდეც ვალერიანე ფოცხვერიამ, ეროვნულ-დემოკრატიული იდეები ჩემთვის დღემდე ახლობელია, ისევე როგორც მაშინ, როცა “ქართული ოცნების” წევრობამდე ამ პარტიის წარმომადგენელი გახლდითო. “სხვაგან სად, თუ არა ნიკოლაძისეულ სახლ-კარში უნდა აღნიშნულიყო დღევანდელი დღე. ილია ჭავჭავაძის იდეების გამზიარებელი ნიკო ნიკოლაძე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, იმ დამფუძნებელი კრების წევრი გახლდათ, საფუძველი რომ ჩაუყარა ქართულ სახელმწიფოებრიობას. 1918-1921 წლების შემდეგ უკვე საუკუნე გავიდა და ქართული პარლამენტარიზმის იუბილეს დღეს აქედან ვეხმიანებით. ბევრ ევროპულ ქვეყანას შეშურდება ქართული პარლამენტის ისტორიის. აღსანიშნავია ისიც, რომ როცა ევროპაში იწყებოდა ბრძოლა ქალთა უფლებების დაცვისათვის, ქართულ პარლამენტს ქალი დეპუტატები უკვე ჰყავდა. გვეამაყება სამტრედიელებს, რომ დამფუძნებელი კრების წევრებს შორის არაერთი სამტრედიელია. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს, ახლო მომავალში მათ ხსოვნას მემორიალური დაფა მივუძღვნათ.” _ აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა.

“ჯერ კიდევ 100 წლის წინ, 12 მარტს, დამფუძნებელი კრების პირველივე სხდომაზე კრების თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე ლომთათიძემ დამსწრე საზოგადოებას და უცხოელ ელჩებს მიმართა, რომ საქართველოს ადგილი ევროპულ ოჯახში იყო, ევროპული გახლდათ ამ ქვეყნის მისწრაფებები და მიზნები. დღესაც, 100 წლის შემდეგ, ევროპეიზმი საქართველოს მთავარი ფასეულობაა. დღესაც აქტუალურია ქვეყნისთვის ის მიზნები და გამოწვევები, რაც ქვეყანას მაშინ ჰქოდა.” _ ხაზი გაუსვა საუბრისას მერის მოადგილე დავით ბახტაძემ.

ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში ორი სამეცნიერო კონფერენცია მიეძღვნა ქართული პარლამენტის ისტორიას. პირველი 12 თებერვალს გაიმართა, 1919 წლის 12 თებერვალს დამფუძნებელი კრების არჩევნების აღსანიშნავად, ხოლო მეორე 12 მარტს, 100 წლის წინანდელი კრების პირველი სხდომის გამართვის დღეს. საარჩევნო სისტემის ნიკოსეული მოდელი გააცნეს მოწვეულ სტუმრებს ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი თარიღის, პარლამენტარიზმის ასწლოვანი იუბილეს აღსანიშნავად.

მართალი გითხრათ, დასაფიქრებელია, რომ 100 წლის წინაც და 100 წლის შემდეგაც ერთნაირი მიზნები და გამოწვევები აქვს ქვეყანას და ევროპულ ოჯახში კვლავ საკუთარი ადგილის დამკვიდრებას ცდილობს.

ლევან გაბეჩავა

„ოქროს აკვანი მოწამეთაში"

ასე ჰქვია სქელტანიან წიგნს, რომლის ავტორიც წარმოშობით სამტრედიელი, თვალსაჩინო ინჟინერი ბატონი ნოდარ მეძმარიაშვილია.

ახალი წიგნი მივიღეთ, უთუოდ დავაინტერესებთ, ჩვეული სითბოთი მითხრა ამას წინათ მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის ბიბლიოფილმა ქალბატონმა ნანა გეგუჩაძემ. რა თქმა უნდა, დავინტერესდი, მერე მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორმა, ქალბატონმა ლამარა დუნდუამ გვამცნო, თანაქალაქელთა სახელით სახელოვანი იუბილე რომ მიულოცია ბატონი ნოდარისათვის, რომელსაც ნამდვილად გახარებია ყურადღება და კეთილი სურვილები.

ბატონი ნოდარ მეძმარიაშვილი ლეგენდარული პროფესიონალი, ინჟინერმშენებლებისა და დარგის სამეცნიერო სფეროში მოღვაწე ღირსეული თაობის წარმომადგენელია.

იგი 1929 წლის 13 მარტს სამტრედიაში დაიბადა აკაკი მეძმარიაშვილისა და ლუბა კალაძის ოჯახში. საშუალო სკოლის შემდეგ საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტს ამთავრებს და საკუთარი გადაწყვეტილებით დონბასში მიემგზავრება. 20 წელზე მეტი დაჰყო იქ.

დონეცკის ოლქში მუშაობის პერიოდში ბატონი ნოდარის ხელმძღვანელობით მრავალი ობიექტი აშენდა. ქალაქის (დონეცკი) დაარსებიდან 100 წლისთავისათვის ქალაქისა და ოლქის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, მილიონიანი ქალაქის მოსახლეობისათვის მილიონი ვარდი ეჩუქებია. აფხაზეთში, სპეციალურად დონეცკისათვის, შეიქმნა სასათბურე მეურნეობა. ამით შესრულდა პროგრამა “მილიონი ვარდი მილიონიან ქალაქს”. იუნესკოს გადაწყვეტილებით კი, ქალაქი დონეცკი აღიარებულ იქნა მსოფლიოში “ყველაზე კეთილმოწყობილ ახალგაზრდა სამრეწველო ქალაქად”.

ყველაფერ ამაში ლომის წილი აქვს შეტანილი ნოდარ მეძმარიაშვილს.

გასული საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარში ბატონი ნოდარი საქართველოს მშენებლობის მინისტრად დაინიშნა და ჩვეული შემართებით უკვე მშობლიური ქვეყნის აღმშენებლობაში ჩაება.

მისი მოღვაწეობით გაშენდა ახალი მიკრორაიონები და დასახლებები. ქიმიური მრეწველების ქარხნები რუსთავში, მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი, ძირეული რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა და ქუთაისის საავტომობილო ქარხნებს, აფხაზეთსა და აჭარაში აშენდა ახალი საკურორტო კომპლექსები.

1982 წლიდან ბატონი ნოდარ მეძმარიაშვილი საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის ჯერ მოადგილე, ხოლო შემდეგ მუდმივი წარმომადგენელი იყო.

30 წელი დაჰყო მან მოსკოვში, ეს წლები უაღრესად ნაყოფიერი გახლდათ მის ბიოგრაფიაში.

ბატონი ნოდარისა და მისი ერთგული მეუღლის ოჯახი, მოსკოვში ნამდვილ ლიტერატურულ-თეატრალურ და ხელოვნების მოღვაწეთა სალონად იქცა. ვინ არ სტუმრობდა იქ: ანასტასია ცვეტაევა, ბელა ახმადულინა, ნინა ბალმონტი, სერგეი გერასიმოვი, ანდრეი ვოზნესენსკი, ეთერ გუგუშვილი, ზურაბ წერეთელი, მელორ სტურუა და სხვები.

ცალკე თემაა ბატონი ნოდარის მოღვაწეობა (საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ) რუსეთის ფედერაციაში დამოუკიდებელი საქართველოს ელჩის მაღალ და უაღრესად პასუხსაგებ თანამდებობაზე.

90 წლის ჭარმაგი დღესაც ენერგიულად ეწევა საზოგადოებრივ მოღვაწეობას. გახლავთ საინჟინრო და ეროვნული აკადემიების აკადემიკოსი, მშენებელთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორის მოადგილე, ათობით პრესტიჟული ორდენისა და მედლის, საპატიო ტიტულის მფლობელი.

მემუარული წიგნი, რომელიც უხვადაა ილუსტრირებული, სრულიად ასახავს ღირსეული მამულიშვილისა და ერისკაცის მიერ ღირსეულადვე განვლილ 70 წლიან შრომით გზას, მის შეხვედრებსა და ურთიერთობებს საქართველოსა და ყოფილ საბჭოთა კავშირში, უკრაინაში მოღვაწე ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეებთან, ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან.

უნდა ითქვას ისიც, რომ კეთილი ჟესტია, ბატონი ნოდარის სურვილით, წიგნის მისი მშობლიური სამტრედიის ბიბლიოთეკისათვის გადაცემა.

პატივისცემით ვულოცავთ ღირსეულ, ამაგდარ ქართველს ლამაზ იუბილეს და წელთა სიმრავლეს ვუსურვებთ სახელოვან ოჯახთან ერთად!

9 აპრილი ჩვენი ტკივილია!

ლევან გაბეჩავა

"დაღუპულ მეგობრებს გამოვუცხადოთ თანაგრძნობა მათზე ფიქრით და არა დატირებით".

ეპიკურე

შენ საქართველოს იმედად და ვარდად გაშლილო,
ეს ვინ ჩაგაცვა შავი ძაძა აპრილის თვეში,
შენ საქორწილო კაბა უნდა ჩაგეცვა, შვილო,

ვარდების ნაცვლად შავი დროშა გიჭირავს ხელში...

ნ. ჯალაღონია

30 წელი გასულა...
1989 წლის 9 აპრილი.
სისხლიანი კვირა.

კიდევ ერთხელ, უკვე მერამდენედ დაიღვარა მრავალჭირნანახი საქართველოს თმაჭაღარა დედაქალაქში სამშობლოს უკეთესი მერმისისათვის მებრძოლ მამულიშვილთა უმანკო სისხლი, ჩვენი დროის გმირებად რომ იშვნენ იმთავითვე.

კვლავ ხარხარებდა სატანა! თუმცა, ამჯერად ვერ მიაღწია რუსეთმა საწადელს.

გლოვობდა ერი დაჩეხილ შვილებსა და დედებს, ძმებს, ახლობლებს. გლოვამ გააერთიანა, ერთ მუშტად შეკრა საქართველო.

9 აპრილის სისხლიანი ალიონი გახდა ვეება იმპერიის დასასრულის დასაწისი.

...

გავიდა ორი წელი 1989 წლის 9 აპრილიდან და 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიაზე საზეიმოდ გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის პოლიტიკური აქტის საფუძველზე.

ამ ფაქტით, კიდევ უფრო გააუკვდავა ერის მეხსიერებაში უზენაესი საბჭოს მაშინდელმა შემადგენლობამ და მისმა თავმჯდომარემ, ბატონმა ზვიად გამსახურდიამ 9 აპრილისა და ამ დღეს დაღუპულთა ხსოვნა.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ მე-20 საუკუნის 80-90-იანი და შემდგომი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობაში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა, ბატონმა ზვიად გამსახურდიამ, რომელიც მიმდინარე წლის 31 მარტს 80 წლისა გახდებოდა.

ყველაფერი გუშინ მოხდა თითქოს, არადა, 30 წელი გასულა 9 აპრილიდან.

მიუხედავად ამისა, ქართველთა ცნობიერებაში სულაც არ გაფერმკრთალებულა ტკივილი, ორლესული ნიჩბებითა და მომწამლავი აირებით დაღუპულთა მწუხარებამ რომ გამოიწვია.

ისევ პოეტი **(ნ. ჯალაღონია).**

"დაიცხრე, შვილო, ეგ წუხილი და მწუხარება,
წინაპრებივით უმკურნალე ქვეყნის იარებს,
შენი ცხრა შვილის ცხრა პერანგი, მტრების ჯინაზე,
სამშობლოს ცაზე დროშასავით ააფრიალე!.."

ვფიქრობთ 9 აპრილის მოვლენებზე და ვფიქრობთ 9 მარტის სისხლიან ამბებზე.

1956 წლის 9 მარტიდან 1989 წლის 9 აპრილამდე 33 წელმა განვლო, ამ ხნის განმავლობაში არ განელებულა ეროვნული მოძრაობის თავკაცთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის.

ბევრი რამ საერთო აქვს 9 მარტსა და 9 აპრილს.

ორივე ტრაგედიის ავტორი მოსკოვია.

ორივე მოვლენა ლამის ერთნაირი სცენარით განვითარდა.

ორივე მოვლენა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ხასიათს ატარებდა.

არც დღეს ცხრება რუსეთი. ბორდერიზაცია, სასაზღვრო რაიონებიდან მშვიდობიანი მოსახლეობის გატაცება... მისი შოვინისტური ხელწერის ერთი მხარეა.

ვერავინ დააჩოქებს საქართველოსა და ქართველებს. ისე, როგორც არაერთგზის, 9 აპრილსაც ყველაზე ძვირფასი _ სიცოცხლე მიიტანეს ქართველებმა სამსხვერპლოზე და უკვდავი შარავანდედი დაიდგეს თავზე.

ასე იყო, ასეა, ასე იქნება მარადის.

პოეტისა **(ენვერ ნიჟარაძე)** არ იყოს:

"ცხოვრება ბრძოლაა, ომია,
ვიტყვი და ვინც უნდა დამძახოს,
ქართველი ამ ომში ლომია,
არ შედრკე, არ წახდე, ყაბახო!
ჩადექი მამულის ლაშქარში,
ვით ყველა კაი ყმის ხვედრია,
ერთია სიცოცხლე ვაჟკაცის,
ვაჟკაცის სიკვდილიც ერთია."

აცხოვნე უფალო მამულს შეწირულთა სულები!

თარიღი

დიდი მუხრანი 90 წლისა გახდებოდა

ოთხმოცდაათი წლისა გახდებოდა ამ დღეებში ქართული პოეზიის მშვენება მუხრან მაჭავარიანი.

შორს იყო მისგან ორპირობა და ორგულობა, ღალატი, ლაქუცი, ძლიერთა ამა სოფლისათა სკამის ფეხთა ლოკვა და მისთანები. სატკივარი, უფრო სწორად, საფიქრალიც ბევრჯერ ბევრს გაუჩინა თავგასულთაგან, ქვეყნის მცვლეფავთაგან.

თუ სიკვდილია

გადავლახავდი დრო-ჟამის მიჯნას,
ვიქათქათებდი, ვით ალავერდი, _
მიზანს და სიკვდილს მიზნისას მიზნად, _
დედა რომ არა ორთავეს ერთი.
ვერ მივაღწიე, ვერ ვეღირსე უკეთუ მიზანს,
ვერ გავისწორე უკეთუ ხოში, _
რა ბედნაა დიდების და მთაწმინდის მიწა!..
თუ სიკვდილია, აი, წოლა მესმის შამქორში!

სულიხლოვა

სინათლის არ ჩანს არსაით ხემსი.
უკუნეთია გარშემო სრული,
უბედურთ, _ მე და სამშობლოს ჩემსას, _
ორთავეს ერთად ამოგვდის სული.

წარბმაღლობენ ყაყაჩონი

კაცი ვიცი ერთი, ორი,
არაკაცი _ ათასობით
მზეკაბანი მიდი-მოდის,
წარბმაღლობენ ყაყაჩონი.
ეს სოფელიც, სხვათა შორის,
"ბრუნავს ვითა ტანაჯორი".

9 წლის წინ აღესრულა პოეტი. ბევრი არაფერი შეცვლილა საქართველოში მუხრანის შემდეგ, ვაგლახ!..

ლევან გაბეჩავა

9 აპრილს ხეზე მინაწერი ლექსი

თავისუფლების პირმშო შვილები,
აპრილის ღამის ბინდში დაეცით,
თავს ჰხრიან ახლა აქ ყვავილები,
რადგან სამშობლო თქვენ არ გაეცით.
დღეს ყველა გგლოვობთ და ცრემლით ვსტირით,
ლექსის წერის დროს კანკალებს ხელი,
ამ საუკუნის იქით გაჰყვირის,
თავისუფლება _ თქვენი სახელით!
ასფალტზე ბრწყინავს შვილების სისხლი,
აქ დგანან ახლა მცველად მამები,
თქვენი სულები განთიადის ნისლს
შეზავებული და ნაწამები.
ნუ ფიქრობს მტერი რომ დააჩოქა,
თავის სამშობლოს მოყვარე შვილი,
ლოცვად გვიხმობენ, როცა ზარები,
თავს დაგვტრიალებს ქრისტეს აჩრდილი.
სად არ დაღვრილი ქართველთა სისხლი,
აწონილია ის ოქროს მისხლით,
ბოლოს ქარიშხლად გადაიქცევა
და ყელში სწვდება მტარვალებს რისხვით.
ჩვენს წამებაში ნახეს სიამე,
ჩვენ ნიჩბით გვჩეხდნენ, ტანკებით _ იმედს,
წამლავდნენ გაზით მეწამულ ღამეს,
თვალსისხლიანი "პროხოდიმცემი".
უმანკო მსხვერპლთა, მართალთა სისხლი,
ამ ჩვენს ალამზე ჯერაც ატყვია,
ქართველი ხალხის გულით მოტანილს,
ვერ შეაჩერებს ჯალათის ტყვია.
ნეტართ დევნილებს სიმართლისათვის
სასუფეველის კარი აქვთ ღია,
მტერი ცბიერი ანტიქრისტეა,
სიმართლის სახელით ის გვესვრის ტყვიას.
სამშობლოსათვის წამებულ შვილთა
გულზე ჰყვაოდეს ვარდი და ია,
რა სისხლის ფასად, მაგრამ ამ აპრილს
თავისუფლების აპრილი ჰქვია.

მერაბ ჩაჩავა

რკინიგზელები რკინიგზელთა ქალაქიდან

ლევან გაბეჩავა

დიდი ხანია, "სამტრედიის მაცნე" ამ სათაურით სთავაზობს მკითხველს წერილებს, რომლებიც მათ რკინიგზელთა საქმიანობაზე მოუთხრობს, იმდენად დიდი ხანი, რომ გაზეთში ახალი რუბრიკა დაიბადა. ბატონ რევაზ შამათავას, ჩვენი გაზეთისა და რედაქციის ერთგულ მკითხველსა და მეგობარს მიუძღვის ამაში დიდი წვლილი.

ამჯერადაც მეტად საინტერესო პიროვნება გაგვაცნო ბატონმა რევაზმა.

საშუალო სკოლის შემდეგ თბილისის რკინიგზის ტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა ბატონმა **სოსო ქორიძემ.** მერე იყო სავალდებულო სამხედრო სამსახური, რომლის პირნათლად მოხდის შემდეგ მშობლიურ სამტრედიას დაუბრუნდა და სალოკომოტივო დეპოში მემანქანის თანაშემწედ დაიწყო მუშაობა.

საკვალიფიკაციო გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ დამოუკიდებელი მემანქანე ხდება და ჩვეული პასუხისმგებლობით ასრულებს ურთულეს დავალებას.

პირველი კლასის სახალხო მატარებლის მემანქანე, ბატონი სოსო ქორიძე, მრავალრიცხოვან კოლექტივში ერთ-ერთი მოწინავეა და პირადი წვლილი შეაქვს რკინიგზის ტრასპორტის, როგორც დარგის შემდგომი სრულყოფის საქმეში.

არავინ დავობს მემანქანის ფხიზელ თვალსა და პროფესიონალიზმზე რომ არის დამოკიდებული მგზავრთა, ათასობით ადამიანთა უსაფრთხოება. წლების წინ, "თბილისი-ზუგდიდის" სახალხო მატარებლის მართვისას მან რელსების შეერთების ადგილზე "ზიგზაგი" შენიშნა, გადაარჩინა მატარებელი და ასობით მგზავრი, რისთვისაც რკინიგზის ხელმძღვანელობის მიერ მადლობა გამოეცხადა და ჯილდოდ ერთი თვის ხელფასი გადაეცა.

აღსანიშნავია ისიც, რომ სოსო ქორიძეს უავარიოდ და უწუნოდ გავლილი მილიონი კილომეტრისათვის მინიჭებული აქვს "საიმედო მემანქანის" საპატიო წოდება.

უყვარს რკინიგზელის პროფესია მარად ფხიზელ მემანქანეს და ბევრ ახალგაზრდასაც შეაყვარა იგი. ახალგაზრდები კი მრავლად მუშაობენ ბატონი სოსოს მხარდამხარ, მათგან ბევრი მემანქანე, ბევრი კი მემანქანის თანაშემწეა. აი, ისინიც: **თემურ თევზაძე, ზაზა მეგენეიშვილი, რამაზ ცომაია, ჯონდი ცქვიტინიძე, გიორგი გაგუა, ომარ ბურკაძე, იური ვაჩეიშვილი და სხვები.**

კვლავ წარმატებებსა და უხიფათო მგზავრობას გისურვებთ, "საიმედო მემანქანევ"!

ჩვენი ბიბლიოთეკა

ბავშვობის განუმეორებელ მოგონებებს ვერა და ვერ ველევი. 1952 წელს რკინიგზის სამტრედიის № 24 საშუალო სკოლის (ამჟამად № 11 საჯარო) მესამე კლასის მოსწავლე ვიყავი. მიყვარდა კითხვა, ვხედავდი, კლასელებს სკოლაში მოჰქონდათ კლასგარეშე ლიტერატურა, საბავშვო მოთხრობები, ზღაპრები და დიდი შესვენების დროს გატაცებით კითხულობდნენ. მივხვდი, მეც შემეძლო საბავშვო ბიბლიოთეკაში ჩავწერილიყავი. მეგობრებმა დამაკვალიანეს, მიღწევა მხოლოდ მშობლის ნებართვით შეიძლებოდა, განცხადების საფუძველზე, რადგან დაწყებითი კლასის მოსწავლე ვიყავი. სულსწრაფმა ვერ მოვისვენე, თანაკლასელის მშობლის განცხადება გადავწერე, ბავშვური ინტუიციით დედის ხელმოწერას მივამსგავსე (წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა) და მასთან ერთად მოკრძალებით და გულისფანცქალით შევაღე საბავშვო ბიბლიოთეკის კარი. ბიბლიოთეკის გამგე გახლდათ თბილი და ამაგდარი ქალბატონი ნინა საყვარელიძე, სამკითხველო დარბაზის განყოფილების გამგე ვენერა ვაჩეიშვილი, ყურადღებიანი ელეონორა (ელიკო) ხაინდრავა. ბიბლიოთეკა, ქალაქში ახლანდელ რუსთაველის ქუჩაზე იყო განთავსებული.

ქალბატონებს, რა თქმა უნდა, არ გამოჰპარვიათ ჩემი "ეშმაკობა", რაც, ალბათ, დაინტერესებად ჩამითვალეს, მოფერებით განმიმარტეს წიგნის გაცემის და დაბრუნების პირობები, წიგნი შემირჩიეს, პირად ბარათზე ხელი მომაწერინეს. მეტი რა მინდოდა, შინ გახარებული დავბრუნდი. ასე დაიწყო ჩემი ურთიერთობა წიგნის უკიდეგანო სამყაროსთან, უშუალოდ ბიბლიოთეკასთან, წიგნისმოყვარულ სამტრედიელ ბავშვებთან, წიგნზე, განათლებაზე მზრუნველ ადამიანებთან.

დაუვიწყარია ის სისხლსავსე ცხოვრება, რაც აქ სუფევდა. მკითხველთა კონფერენციები, პოეზიის საღამოები, შეხვედრები მოწინავე ადამიანებთან, წიგნის განხილვა და ასე შემდეგ. წიგნის დაბრუნების დროს ელიკო დიდა კითხვას დაგვისვამდა, ამით რწმუნდებოდა, წავიკითხეთ თუ არა და რა გავიგეთ, ცდილობდნენ ჩაწვდომოდნენ მკითხველთა ინტერესებს. ადამიანები, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში ემსახურებოდნენ ამ საპატიო საქმეს, დღეს იმქვეყნიურ სასუფეველში განისვენებენ, მაგრამ დაუვიწყარია ელენე შანიძის, მზია ჩიხლაძის, ნინა საყვარელიძის, ნინა ნიკურაძის, ბაბულია ქოქრაშვილის, თამარ კორკოტაძის, ლამარა რევიშვილის, ეშხა ჯოჯუას, თამარ ღაღანიძის, თამარ ჩხეკვაძის, შურა კეშელავას, ვენერა ვაჩეიშვილის, ლენა თოფურიას, ქეთო ახობაძის, ეთერ გაგუას, ლია კამკამიძის, გულიკო ახობაძის, ეთერ შენგელიას, ნუნუ გერგეშანიას, თინა ნაფეტვარიძის, იულია სანებლიძის, ნათელა ლეჟავას, მარო ნიკურაძის, გულნარა კვანტალიანის, ვენერა სიმონია-ჩაჩუას, ლილი შუბლაძის, ლიდა თევზაძის, მარგო ხაჟალიას, ლეილა არველაძის, გალინა მეიშვილის და სხვათა ღვაწლი.

როცა წამოვიზარდე, ბუნებრივია, ინტერესი უფრო გაიზარდა და უკვე თამამად გადავინაცვლე რაიონული ბიბლიოთეკაში. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, ქალბატონ შურა კახაძის მიერ მოცემული დავალებების შესასრულებლად და თემების დასაწერად, რომ იტყვიან, ღამეებს ვათენებდით. ვეცნობოდით ცნობილ ენათმეცნიერების, კორნელი კეკელიძის, შალვა რადიანის, ალექსანდრე ბარამიძისა და სხვათა კრიტიკულ კრებულებს, გატაცებით ვკითხულობდით მხატვრულ ლიტერატურას. ამ წლებში ბიბლიოთეკის გამგე გახლდათ დიდი სამამულო ომის მონაწილე, რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარი ელენე შანიძე. ბიბლიოთეკაში იგრძნობოდა მაღალი პასუხისმგებლობა, მკაცრად მოითხოვდნენ წიგნის დროზე დაბრუნებას. სწორედ მაშინ გავიცანი ახალგაზრდა ბიბლიოთეკარი ლამარა დუნდუა, რომელიც დღეს ღირსეულად უძღვება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკას მაღალპროფესიული კოლექტივის მხარდაჭერით და ძალისხმევით. იმხანად ის არა ერთხელ მინახავს ძველი სამტრედიის უბანში მკითხველთა ბინაზე მისული, დაგვიანებული წიგნების ბედის გასარკვევად. უდიერ მკითხველთა მოძიება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით არც თუ ადვილია, მაგრამ იმდენად დიდი იყო მოთხოვნა ცალკეული მუშაკის მიმართ, ისინი თავიანთ მოვალეობას მონდომებით ასრულებდნენ, ამით მაღლდებოდა მკითხველთა თვითშეგნებაც.

გავიდა წლები. სამსახურეობრივმა ურთიერთობამ (1968-1991 წ.წ.) საშუალება მომცა, ახლოს გავცნობოდი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს და ამ სფეროში მოღვაწე ადამიანებს. ეს პერიოდი ბევრი რამითაა დასამახსოვრებელი, რაიონში ყოველწლიურად იზრდებოდა კულტურის კერები. 80-იანი წლების ბოლოს ბიბლიოთეკათა რაოდენობა შეადგენდა 59-ს. უმძიმეს წლებში შემცირდა რაიონის ბიუჯეტი, დაზიანდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ამ სფეროს მუშაკებმა გაუძლეს დროს, უხელფასობას, უტრანსპორტობას, საერთო სიდუხჭირეს და გადაარჩინეს წიგნები, პროტესტის ნიშნად არ გამოუხურავთ სამკითხველოს კარები, მაგრამ დასანანია, რომ ბევრი მათგანი უმუშევარი დარჩა. 2007 წელს გაუქმდა ერთ დროს ზარ-ზეიმით გახსნილი ბიბლიოთეკების ნაწილი. კიდევ კარგი, რომ ამას ვერ მოესწრო ქალბატონი ჟულიეტა გოგავა, არაფერს ვამბობ სხვა ღვაწლმოსილ ადამიანებზე. როგორც ვხედავთ, ერთ-ერთი ინტელექტუალური წყარო რიგ სოფლებში დღესაც დამშრალია და იმედით შეჰყურებს მომავალს, ადამიანებს, რომელთაც ხელეწიფებათ მათი აღდგენა და გაცოცხლება.

ფასდაუდებელია კულტურის სფეროს მუშაკთა ღვაწლი. ისინი თავიანთ პროფესიულ საქმეს ყოველთვის ემსახურებოდნენ პასუხისმგებლობით: ნინეზა გორდულაძე, მაყვალა კანდელაკი, მიმოზა დვალი, ინეზა სტურუა, ქეთო ცინცაძე, მარიამ ჩხეკვაძე, ავრორა ამაღლობელი, თინა სიხარულიძე, მზევინარ მაჭავარიანი, ნარგიზა ნანეიშვილი, მერი სერგეევა, ქეთევან ცქიტიშვილი, გულინა გეგეშიძე, მაყვალა ბოკუჩავა, მადონა ხუხია, თამილა ხარებავა.

მეამაყება, რომ ჩვენს ქალაქში პირველი სამკითხველოს დაარსება ცნობილი საზოგადო მოღვაწის, პეტრე გელეიშვილის სახელს უკავშირდება. დიახ, აქ ჯერ კიდევ 1892 წელს გაიხსნა სახალხო ბიბლიოთეკა, რომელმაც მხოლოდ ხუთი წელი იმუშავა და შემდეგ უსახსრობის გამო დაიხურა.

საინტერესოა ისიც, რომ ძველ სამტრედიაში, ჩემი ბავშვობის უბანში, ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში, 1914 წელს, ეგნატე ნინოშვილის სახელობის ბიბლიოთეკა გაიხსნა ცნობილი ქართველი მწერლის, მარიამ გარიყულის მიერ. იგი გახლდათ აქ მცხოვრები აზნაურის, ვასილ რატიანის ოჯახის რძალი და ცხოვრების გარკვეული წლები ძველ სამტრედიაში გაატარა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა მისი მოგონება: "გადავწყვიტე, სოფელში გამეხსნა სამკითხველო. ეს ჩემი გადაწყვეტილება გავუზიარე ახალგაზრდა მასწავლებელს შუშანიკა ქართველიშვილს, ბესარიონ გელეიშვილის ვაჟს კლიმენტის (სტუდენტი იყო) და ორიოდე ინტელიგენტს. ავირჩიეთ კომისია და მივმართეთ დახმარებისათვის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილების გამგეობას, რომლის თავმჯდომარე იყო გიორგი სიხარულიძე. გამგეობამ დადგენილება გამოიტანა და ამის შემდეგ ქუთაისის გუბერნატორიდან მივიღე ნებართვა.

შუა სოფელში (ყოფილი მტს-ის, შემდეგში საქსოფლტექნიკის ტერიტორიაზე) გავხსენით ეგნატე ნინოშვილის სახელობის სამკითხველო. მთელი ჩემი პირადი ბიბლიოთეკა სამკითხველოს შევწირე. ასევე მოიქცა კომისიის ყველა წევრი. საწევრო გადასახადით გამოვიწერეთ ჟურნალ-გაზეთები, შაბათ საღამოობით მოვაწყვეთ საჯარო კითხვა. ჩვენმა საქმიანობამ სულ რამდენიმე თვე გასტანა, გამაფრთხილეს, შემეწყვიტა კითხვა, თორემ სამკითხველოს დაკეტვა მოელოდა.

ეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია გვავალდებულებს პატივი მივაგოთ ყველა იმ ადამიანს, ვინც გარკვეული წვლილი შეიტანა სამტრედიის მოსახლეობის კულტურულ ღირებულებათა ამაღლების საქმეში.

მიხარია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო საქმის ერთგულ მუშაკებთან შეხვედრა, საყოველთაო მადლობას ისმახურებენ ქალბატონები: ლამარა დუნდუა, რუსუდან კახიანი, ნანა გეგუჩაძე, მავლინა თავაძე, მარინა ჩხაიძე, ქეთევან ნიკურაძე, ანჟელა კრავეიშვილი, ლელა ნიკურაძე, იზაბელა ლეგაშვილი, ნანა ნიკოლეიშვილი. ბიბლიოთეკარები სიყვარულით და პატივისცემით ემსახურებიან მკითხველებს, რომელთა ნაკადი დღის განმავლობაში თითქმის არ წყდება, სამკითხველო დარბაზი მკითხველებითა და ყოველდღიური ინფორმაციის მოყვარულებითაა სავსე, განსაკუთრებით შესამჩნევია ახალაგზრდების სიჭარბე. ამაზე უკეთესი ამ კედლებში რა უნდა ნახო!

გვერდს ვერ ავუვლი საქალაქო ბიბლიოთეკას (ნანა გოგიშვილი), რომელიც ტრადიციულად ინარჩუნებს შემოქმედებით საქმიანობის მაღალ სტანდარტს და კულტურულ-შემეცნებით ღონისძიებებში მკითხველთა აქტიური მონაწილეობით მასპინძლობს ქალაქის, ძველი სამტრედიის უბნის საკმაოდ მრავალრიცხოვან აუდიტორიას.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკას (ლ. დუნდუა), ის ღირსეულად პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, აქ იგრძნობა წიგნის და სიტყვის ფასი, ის საკვანძო როლს ასრულებს მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში და კულტურის ცენტრადაა ქცეული. შთამბეჭდავია დამოკიდებულება მკითხველებისადმი, განსაკუთრებით აღსანიშნავია ლიტერატურული საღამოები, შეხვედრები მწერლებთან, პოეტებთან და ისიც, რომ მის მომზადებაში აქტიურად მონაწილეობენ გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა, მართლმადიდებლური სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნინო ტონია და ინტელექტუალური საზოგადოების სხვა წარმომადგენლები.

აქ, მესამე წელია, ყოველი თვის ბოლო ოთხშაბათს, წმინდა დავით აღამშენებლის სახელობის სასკათედრო ტაძრის მოძღვარი, დეკანოზი ანტონი (ვაშაკიძე) ატარებს ბიბლიის გაკვეთილებს, შესამჩნევად გაიზარდა ინტერესი, რასაც განაპირობებს მამა ანტონის ღრმა და მაღალაკადემიური საუბრები, ამომწურავი პასუხები მსმენელთა მიერ დასმულ შეკითხვებზე.

ბიბლიოთეკაში ჩატარებულ ღონისძიებებს ხშირად სტუმრობენ მუნიციპალიტეტისა და საკრებულოს ხელმძღვანელი მუშაკები. ეს უდავოდ კარგი და ხელშემწყობი ფაქტორია საბიბლიოთეკო ქსელისადმი დახმარებისა და არსებულ პრობლემათა გადაჭრის თვალსაზრისით. რაც შეეხება ბიბლიოთეკების აღდგენის საკითხს, ეს მეტად საყურადღებოა, რამეთუ მოსახლეობის ინტერესებს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას ეხება.

იმედს არ ვკარგავ. ველოდები შედეგს. ვნახოთ, როგორ უსმენენ ხანდახმულებს და ბიბლიოთეკის გარეშე დარჩენილ მოსახლეობას.

ნათელა გელეიშვილი

სურათზე: კვირეულში "ჩემი საყვარელი ლექსი" გამარჯვებული მოსწავლე ნინო ტონია ჯილდოვდება წიგნით. 1973 წელი. შეხვედრა პროფესორ ალექსანდრე ლორიასთან.

"მერცხლის ხათრით"

ასე უწოდა ახლახან გამოცემულ თავის მეორე პოეტურ კრებულს ჩვენი ქალაქის მკვიდრმა, ნიჭიერებითა და მშვენიერებით გამორჩეულმა ქალბატონმა მაყვალა ჩირგაძემ. ლექსებიც მას ჰგავს, სევდანარევი, ტკივილებითა და მომავლის იმედებით სავსე:

"აღარ მოჰგავს მერცხლებს ჩემი
დარჩენილი წლები,
თუმცა მაინც მერცხლის ხათრით
ვიძინებ და ვდგები".

წიგნში 180-მდე ლექსია შეტანილი. მეამაყება, რომ მათი დიდი ნაწილის პირველ მკითხველთა რიგებში ვარ სხვა მეგობრებთან და პოეზიის მოყვარულებთან ერთად.

ჯერ კიდევ 90-იან წლებში რაიონის ქალთა ორგანიზაციების ინიციატივით მოეწყო მისი შემოქმედებითი საღამო. რა ბედნიერი იყო ის და ჩვენც! პირველად მოკრძალებული, შემდეგ კი საოცარი გარდასახვა მოხდა. მან მოახერხა, თავისი პოეტური სულის ზიარება აუდიტორიასთან. აქ იყვნენ ა/კ რკინიგზის სამტრედიის განყოფილების ხელმძღვანელები და ქალბატონები. მაყვალა ხომ წლების განმავლობაში ღირსეულად ხელმძღვანელობდა რკინიგზელ ქალთა საბჭოს და მათი აქტიური თანადგომით და მონაწილეობით საინტერესო ფურცელი ჩაწერა რკინიგზელ ქალთა ყოველდღიურობასა და მათ მეხსიერებაში.

"ყველა ლექსი ჩემი წყვილი და ობოლი ცრემლია".

გულწრფელია პოეტი, უნდა დავუჯეროთ მას. ჩვენ, ადამიანები, ხშირად ზედაპირულად ვიცნობთ ერთმანეთს. აკი თავად ამბობს: "ლექსი ღვთისგან სულის გადასარჩენად გამოწვდილი ხელია, მერცხლის ფრთით მოტანილი სიცოცხლეა".

პატივი მივაგოთ უკვე დიდი ხანია შემდგარ პოეტს, ქალბატონ მაყვალა ჩირგაძეს და მივულოცოთ მას მეორე პოეტური კრებულის გამოცემა. მე რა უნდა ვთქვა იმაზე უფრო ლამაზად და დამაჯერებლად, როგორც ეს ჩვენი თანამემამულე პოეტების, ანა კალანდაძისა და სხვა მრავალი პრემიის ლაურეატის, ქალბატონ ზოია ვაშაკიძის, აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატების, ნოდარ ადეიშვილისა და გრიგოლ ჯულუხიძის, გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" მთავარი რედაქტორის, ქალბატონ ქეთევან ჭელიძის მიერ წიგნის შესავალშია გამოთქმული სრულიად სამართლიანად და შეულამაზებლად.

ვფიქრობ, ქალბატონ მაყვალა ჩირგაძის ერთად თავმოყრილი ლექსების სურნელის აღქმის და მკითხველთა შთაბეჭდილებების გამოხატვის დროა, რომელიც პოეტს ახალი შემოქმედებითი წარმატებისაკენ დაულოცავს გზას და პოეზიის ნათელი ბილიკებით მიიყვანს საქართველოს მწერალთა კავშირში.

მომავალ შეხვედრამდე, ქალბატონო მაყვალა!

ნათელა გელეიშვილი

მინდა ჩემს ქალაქს ჰქონდეს კულტურულ-შემეცნებითი კერა

ყველასათვის ცნობილია, რომ ადამიანის აღზრდისა და პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის არაერთი ხერხი არსებობს. პირველ რიგში ოჯახი, სკოლა, ეკლესია, მაგრამ ადამიანის გონება მუდმივად განახლებადია და მას მუდმივად სჭირდება საზრდო. განათლება მრავალმხრივი მნიშვნელობის სიტყვაა. ნათელი გონება ნიშნავს მეტად შეიცნო სამყარო, რომელშიც ვცხოვრობთ და გვიწევს არსებობა, უფრო მეტად გააცნობიერო მომხდარი მოვლენები თუ ფაქტები. ამისათვის მონდომებაცაა საჭირო, მაგრამ ამ მონდომების განსახორციელებლად საჭიროა შესაბამისი დრო და ადგილი. სწორად აღზრდილი თაობა ძლიერი სახელმწიფოსა და ძლიერი მომავლის საწინდარია. დღეს, როცა მრავალი გამოწვევის წინაშე დგას ქვეყნიერება და თუ შენც გინდა რომ მსოფლიოს ნაწილი გახდე და დაუდგე გვერდით და არ ჩამორჩე ცივილიზებულ სამყაროს, უნდა შექმნა მასზე განსხვავებული და აჩვენო მას იმაზე მეტი, რაც მას აქვს, დაანახო რა შეგიძლია შენ. შეიძლება ადამიანს ჰქონდეს ისეთი რამ, რაც მსოფლიო მნიშვნელობისაა, მაგრამ მან არ იცოდეს მისი სწორად გამოყენების, ან რეალიზაციის შესახებ. რა თქმა უნდა, დიდია ჩვენი წინაპრების წვლილი, მაგრამ მათ ფესვებზე ახალი ყლორტის დამყნობა უნდა შევძლოთ. გლობალიზაციის პროცესი კაცობრიობას სტიმულს აძლევს, რათა ხელახლა იქნეს გააზრებული აღზრდისა და განათლების მთელი სისტემა. შეიძლება ახალიც შევქმნათ დამოუკიდებლად, მაგრამ არ უნდა მოსწყდე იმ ფესვს და არ გადახვიდე იმ "თეთრ სწორ ხაზს". რა თქმა უნდა, უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ვინც წარსულს დაივიწყებს, მას მომავლის იმედი არ უნდა ჰქონდეს.

სახელმწიფო ჯანდაცვასთან ერთად უნდა ზრუნავდეს და მეტ ყურადღებას უთმობდეს მომავლისა თუ მოქალაქეთა განათლების მაღალ ხარისხს. პოლიტიკური რეიტინგი არის წამიერი და მოჩვენებითი და ის წარსულში ჩაიკარგება, როგორც მრავალი სხვა. ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული და გონება რომ აღმოცენდეს, ადამიანის გენთან ერთად მის გარემოცვას უნდა ექცეოდეს ყურადღება, თუ სად უწევს მას ყოფა-ცხოვრება. მინდა გამოვთქვა სურვილი და თხოვნა ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების მიმართ: როცა ქალაქს სჭირდება მატერიალური ყოფაცხოვრების დაწესებულებები, ასევე საჭიროა ჰქონდეს ისეთი დაწესებულება და საზოგადოების თავშეყრის ადგილი, სადაც მომავალი თაობის წარმომადგენელი თუ დაინტერესებული პირი, მიიღებს მრავალ კითხვაზე პასუხს. ეს იქნება: რელიგია, მეცნიერება, პოეზია და სხვა. ადგილი, სადაც მოხდება მწერალთა თუ საზოგადო მოღვაწეთა თავშეყრა და იგი გახდება მათი მყუდრო "ნავსაყუდელი". ადგილი აზრების გაცვლა-გამოცვლის თუ ახალი იდეების დასახვისათვის. ასეთი კაფე-სალონების დაარსების იდეა ახალი არ არის. იყო იდეაც, მოხდა განხორციელებაც და კარგი შედეგებიც მოჰყვა. შემდეგ ჩვენმა ბრძენმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ყველა ეკლესია-მონასტერთან დაარსებულიყო საკვირაო სკოლა. რა თქმა უნდა, კარგია მაგრამ ძნელი განსახორციელებელი, მაგრამ ვფიქრობ ელესია-მონასტერთან დაარსებულ ახალგაზრდულ-შემეცნებითი სალონი უფრო მოკრძალებული იქნება, ვიდრე დამოუკიდებლად არსებული. იქ სხვადასხვა თემებზე შეიძლება სჯა-ბაასი, თუნდაც მსოფლიოს სხვადასხვა მოვლენისა და ინიციატივების შესახებ. ამიტომ ველი შესაბამის სურვილს და ქმედებას როგორც თანამოქალაქეებისგან, ისე ხელისუფლების იმ წარმომადგენლებისგან, ვინც კულტურულ სფეროს კურირებს რაიონში. სასურველია ქალაქს ჰქონდეს სრულიად აპოლიტიკური, კულტურულ-შემეცნებითი კერა თავისი საკონფერენციო დარბაზითა და მასზე მზრუნველი სათანადო კვალიფიციური გუნდით.

P.S. თუ ვინმე იტყვის ამ სიდუხჭირის ჟამს "რა დროს ლექსია, მოუკვდა პატრონი", მითქვამს და ვიტყვი. გონების განვითარება ხელს უწყობს ადამიანს გახდეს სრულყოფილი და მისი სრულყოფილება მისცემს შანსს, რომ იყოს ყველანაირად უზრუნველყოფილი. განვითარებული გონება განავითარებს და სწორ მიმართულებას მისცემს მის თითოეულ ნაბიჯს თუ მოქმედებას.

ჯაფარ ბისტაევი (ბალეიტელი) მიერგაძე

7 აპრილს ხარებაა, გილოცავთ!

ქრისტიანული ეკლესიის საუფლო დღესასწაულია ხარება. (უძრავი) იგი ძველი სტილით 25 მარტს, ახლით კი, 7 აპრილს აღინიშნება.

სახარების მიხედვით, გაბრიელ მთავარანგელოზს უხარებია მარიამ ღვთისმშობლისათვის, რომ მისგან იშობოდა იესო ქრისტე, ძე ღვთისა.

ქრისტოლოგიაში ხარება მიჩნეულია კაცობრიობის ხსნის დასაბამად. საუკუნეებით დაფარული ღვთის საიდუმლოს გაცხადებად.

დღესასწაულის თარიღი იმგვარადაა შერჩეული, რომ ხარებიდან შობამდე 9 თვეა გასული.

მაშ ასე, 7 აპრილს ხარებაა უფროსად ყოვლად წმიდისა დედოფლისა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა!

ამ დღეს ყველა მოქმედ ტაძარში შესაბამისი ღვთისმსახურება აღესრულება.

ლევან გაბეჩავა

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს დავით ნიკოლეიშვილს
მამის
გარდაცვალების გამო.

ელექტრო სამონტაჟო სამმართველოს ხელმძღვანელობა და მუშა-მოსამსახურეები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ
თემურ მელიას
გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ ოჯახს.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ნატო მელიას ძმის
თემურ მელიას
გარდაცვალების გამო.

ბეჟან გოგია ოჯახით სამძიმარს უცხადებს კოტე ჟვანიას ოჯახს, მამის
სოსო ჟვანიას
გარდაცვალების გამო.

ავთანდილ კაშია, ომისა და სამხედრო ძალების სამტრედიის ვეტერანთა კავშირის სახელით, თანაუგრძნობს თადარიგის გენერალს გიორგი ხაზარაძეს, სიდედრის ქალბატონი
ლიდი ივანიაძის
გარდაცვალების გამო.

მამა ივლიანე



მეტად საშური საქმით, სამტრედიის მუნიციპალიტეტში წინათ არსებული ეკლესია-მონასტრებისა და იქ მოღვაწე სასულიერო პირების ისტორიის მოძიებითაა დაკავებული ახალგაზრდა იურისტი, ირაკლი მაჭავარიანი.

1909-1917 წლებში ქორეისუბანში, ღვთისმშობლის შობის ეკლესიაში მოღვაწე მღვდლის, ივლიანე დავითის ძე ქორიძის ფოტო გვაჩვენა ამას წინათ სამტრედიის კოლორიტმა, ბატონმა რომან ჩაჩუამ და გვიამბო, რომ მამა ივლიანეს 8 შვილი და უამრავი შვილიშვილი, ბადიშიშვილი ჰყავდა. იგი ხანდაზმული გარდაიცვალა და ჩოხატაურის რაიონის სოფელ კალაგონში მამა-პაპათა საგვარეულო საძვალეშია დავანებული.

შევიტყვეთ, რომ მამა ივლიანე ბატონი რომან ჩაჩუას დიდი ბაბუა ბრძანებულა.

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დღეებში ვიხსენებთ პატიოსან მღვდელ მამა ივლიანეს და მადლობას ვუხდით ბატონ ირაკლი მაჭავარიანს, ბატონ რომან ჩაჩუას ფოტოს მოწოდებისათვის.

ლევან გაბეჩავა

ლია ფახურიძე შეღეგებს აუმჯობესებს

ნინო ნანიტაშვილი

9 მარტს დაიწყო და 18 მარტს დასრულდა იმერეთის საკვალიფიკაციო ტურნირი, რომელიც ქალაქ ქუთაისში, მაია ჩიბურდანიძის სახელობის საჭადრაკო კლუბში გაიმართა. ტურნირში მონაწილეობა მიიღეს სამტრედიელმა მოჭადრაკეებმა. მათ შორის წარმატებით იასპარეზა და მე-4 თანრიგოსან გოგონათა შორის მე-2 ადგილი მოიპოვა და თან მე-3 თანრიგი დაიმტკიცა ლია ფახურიძემ (მწვრთნელი ნინო ჯვარშეიშვილი).

ლია ფახურიძე სამტრედიის მე-11 საჯარო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლეა. ერთი წელია რაც სპორტული სკოლის ჭადრაკის წრეში მეცადინეობს. ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა, გოგონა იმერეთში თავისი შედეგებით წარმოჩენილიყო.

ჭადრაკის მწვრთნელი ნინო ჯვარშეიშვილი ლია ფახურიძეს ახასიათებს როგორც პერსპექტიულ მოჭადრაკეს: "ლია ძალიან მონდომებული ბავშვია. ის სკოლაშიც კარგ მოსწავლედ ითვლება. მე, როგორც მწვრთნელი, კმაყოფილი ვარ, უკვე სამჯერ მასახელა. ბოლო წარმატებას წინ უძღვოდა 2018 წელს იმერეთის ჩემპიონობა, სადაც პირველ ადგილზე გავიდა და მე-4 თანრიგს დაეუფლა. მან წელს შედეგი გააუმჯობესა, მომავალში კიდევ მეტს ველი მისგან".

ეს ერთი მაპატიე და შენი სადღეგრძელო ჩემზე იყოს.

ვულოცავთ!

დეკანოზ ზაქარიას(მესხი)

დიდი სიყვარულით ვულოცავთ დაბადების დღეს ჩვენს მოძღვარს, დეკანოზ მამა ზაქარიას (მესხი). უფალმა გააძლიეროს ჩვენი სულიერების საიმედო დარაჯად!

მრევლი

ქალბატონ ქეთევან პაპავას!

ღირსეულ ქალბატონს პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს, იხარეთ, იდღეგრძელეთ თქვენს შესანიშნავ ოჯახთან ერთად.

"სამტრედიის მაცნე"

მერაბ არჩვაძეს!

ღირსეულად განვლილი წლებით მდიდარს საუკეთესო სურვილებით გილოცავთ დაბადების დღეს. ჯანის სიმრთელე, დღეგრძელობა და ბედნიერება დაებედოს თქვენს ყოველდღიურობას.

ოთარ სტურუა

ბატონ გენადი გრიგოლიას!

დაბადების დღეს გილოცავთ. პროფესიულ წინსვლასა და წარმატებებს გისურვებთ.

ბეჭან გოგია

ლუკა მოდრიჩი საუკეთესო სპორტსმენად დასახელდა

სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის გამოკითხვის შედეგად, 2018 წლის საუკეთესო სპორტსმენად 419 ქულით, მადრიდის "რეალისა" და ხორვატიის ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი ლუკა მოდრიჩი დასახელდა.

აღსანიშნავია, რომ ლუკა მოდრიჩი 2018 წლის შედეგების მიხედვით უეფამ წლის საუკეთესო მოთამაშედ აღიარა და "ოქროს ბურთის" მფლობელი გახდა.

რინუს მიხელსი პირველია

ავტორიტეტულმა და პოპულარულმა გამოცემა "ფრანს ფუტბოლმა" ისტორიაში საუკეთესო საკლუბო მწვრთნელთა 50 კაციანი სია გამოაქვეყნა.

ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელად ჰოლანდიელი რინუს მიხელსი აღიარეს.

ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ამ სიაში მოხვდნენ უკრაინელი ვალერი ლობანოვსკი და რუსი ვიქტორ მასლოვი, რომლებიც შესაბამისად მე-6 და 23-ე ადგილებზე არიან.

კვლავ მე-12 პოზიციაზე

მსოფლიო რაგბიმ მარტის თვის ახალი სანაკრებო რეიტინგი გამოაქვეყნა.

რეიტინგს 92,5 ქულით კვლავ ახალი ზელანდია ლიდერობს.

ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის, ყველაზე საუკეთესო მაჩვენებელი აქვს საქართველოს მორაგბეთა ეროვნულ ნაკრებს (მთავრი მწვრთნელი მილტონ ჰეიგი), რომელსაც 14, 42 ქულით კვლავ მე-12 პოზიცია უკავია.

ირაკლი ნიკოლეიშვილი

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 599 02 41 11

მაცნე სამტრედიის

დირექტორი	ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი	ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი	თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი	ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული გრაფიკა	მაკა პაპავა